პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 255 (10649) | ოთხშაბათი, 31 ოქტომბერი, 1956 წ. | ფასი 20 კაპ.

კომუნისტებო და კომკავშირელებო! იყავით საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის საყოველთაო-სახალხო ბრძოლის ავანგარდში! ბეჯითად დაეუფლეთ მარქსისტულ-ლენინურ თეორიას! იბრძოლეთ ტექნიკური პროგრესისათვის სახალხო მეურნეობაში, შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის, სსრ კავშირში კომუნიზმის აშენებისათვის!

ბიბლიოთეკა

(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოწოდებიდან)

ყველა ღონისძიებით განვავითაროთ კრიტიკა და თვითკრიტიკა

მარქსისტულ-ლენინური თეორიით შეიარაღებული კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით აღფრთოვანებული საბჭოთა ხალხი ყველა დაბრკოლებას ძლევს განვითარების გზაზე და ახალ-ახალ ბრწყინვალე გამარჯვებებს აღწევს კომუნიზმის მშენებლობაში.

საბჭოთა ადამიანები სულ უფრო იმორჩილებენ და გულს უსხნიან ბუნებას. მათ სული ჩაუდგეს გვალვით გადამწვარ მიწებს, ბაღნარებად აქციეს უდაბნოები და ტრამალები. პარტიის პოლიტიკის ტრიუმფია მიმდინარე წელს ყამარ და ნასვენ მიწებზე უხვი მოსავლის მიღება. საბჭოთა მეცნიერებმა, მსოფლიოში პირველებმა, ხალხის სამსახურში ჩააყენეს ატომის ენერგია... წინ კიდევ უფრო წარმტაცი პერსპექტივები ისახება.

დიდია ჩვენი ხალხის მიღწევები, და ეს მიღწევები წარმოშობენ კანონიერი სიამაყის გრძნობას. მაგრამ საბჭოთა პატრიოტების დამსახურებული სიამაყე მედიდურობასა და ყოყოჩობას როდი ნიშნავს. სადაც ფეხს იკიდებს მედიდურობა და მიღწეულით დაკმაყოფილების განწყობილება, იქ ისახება მუშაობაში შეცდომების დაშვების, ჩამორჩენისა და ერთ წერტილზე გაყინვის საშიშროება. შეცდომებისა და ნაკლოვანებათა დაძლევის ნაცადი მეთოდია კრიტიკა და თვითკრიტიკა. ამიტომ სკკპ XX ყრილობამ მოუწოდა კომუნისტებს, მთელ საბჭოთა ხალხს ფართოდ გაშალონ კრიტიკა და თვითკრიტიკა როგორც ნაკლოვანებათა დაძლევისა და კომუნიზმის მშენებლობის ყველა უბანზე მორიგ წარმატებათა მოპოვების მძლავრი საშუალება.

კომუნისტური პარტია გვასწავლის, რომ კრიტიკისა და თვითკრიტიკის ძალა მის მასობრიობაშია. კომუნიზმის მშენებელი ხალხი, თავიხი ქვეყნის სრული ბატონ-პატრონი, აქტიურად მონაწილეობს ქვეყნის მართვაში, თვითონ განაგებს თავისსავე ბედს. იგი ახალი ცხოვრების შემოქმედია. ამიტომ თვით ჩვენი სახელმწიფოს, როგორც ახალი ტიპის სახელმწიფოს, ბუნებიდან გამომდინარეობს მშრომელთა აქტივობა, მათი პოლიტიკური შეგნებულობის მაღალი დონე, კრიტიკისა და თვითკრიტიკის მასობრიობა, მისი სახალხო ხასიათი.

კომუნისტური კრიტიკა ნაკლოვანებათა მხოლოდ მხილებით ან აღიარებით როდი კმაყოფილდება. იგი მოითხოვს იმ მიზეზების გამორკვევას, რომლებმაც ეს ნაკლოვანებები წარმოშვეს, აჩქარებს ამ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას.

ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც მაღალ დონეზე აქვთ დაყენებული პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობა, ამაღლებენ რა სამეურნეო და კულტურული მშენებლობისადმი ხელმძღვანელობის დონეს, პრაქტიკულ საქმიანობაში ფართოდ იყენებენ კრიტიკასა და თვითკრიტიკას, ყურს უგდებენ მასების ხმას, გულისხმიერად ეპყრობიან მათს კრიტიკულ შენიშვნებსა და ძვირფას წინადადებებს.

სამწუხაროდ, ყველგან ასე როდია. ფაქტები მოწმობენ, რომ მთელი რიგი ორგანიზაციები და ხელმძღვანელი მუშაკები სტყვიერად მიესალმებიან კრიტიკას, აღიარებენ მის სამართლიანობას, მაგრამ საქმით არ განამტკიცებენ ამ აღიარებას, არ სახავენ სათანადო ღონისძიებებს მხილებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად, ან თუ დასახეს, არ ასრულებენ. ამით შეცდომაში შეჰყავთ საზოგადოებრივი აზრი, ნიადაგს ამზადებენ ნაკლოვანებათა კიდევ უფრო გადიდებისათვის.

ჩვენ არ გვესაჭიროება კრიტიკა კრიტიკისათვის. კომუნისტური კრიტიკა და თვითკრიტიკა ჩვენი ცხოვრების განვითარების ინტერესებს ემსახურება. ამიტომ იგი ქმედითი უნდა იყოს. კრიტიკის ქმედითობის განუყრელი პირობაა მისდამი სწორი დამოკიდებულება. კრიტიკისადმი სწორი დამოკიდებულება ნიშნავს ბოლომდე მიიყვანო დაწყებული საქმე, პრაქტიკულად განამტკიცო მიღებული გადაწყვეტილება. კრიტიკის აღიარება და თუნდაც კარგ ღონისძიებათა დასახვა საქმის მხოლოდ დასაწყისია. დასახული ღონისძიება რეალურ საქმედ რომ იქცეს, საჭიროა მისი შესრულება. სამწუხაროდ, მთელი რიგი ორგანიზაციები და ხელმძღვანელი მუშაკები მშრომელთა სიგნალებსა და წინადადებებს, მათ შორის რედაქციის მეშვეობით მიღებულ მასალებს ფორმალურად ეკიდებიან, აგვიანებენ პასუხის გაგზავნას, ან გზავნიან არაფრისმთქმელ პასუხებს.

მიმდინარე წლის 10 მაისს გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციამ კასპის მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომს გადაუგზავნა სოფლკორ ბუღულაშვილის წერილი, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ სოფელი გამდლისწყარო უყურადღებოდ არის მიტოვებული. მას არა აქვს ხიდი, არ არის განათება და სხვ. აღნიშნულ წერილზე, მიუხედავად შეხსენებისა, რედაქციას გამოხმაურება დღემდის არ მიუღია.

24 მაისს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა ზუგდიდის რაიონის ცაიშის სასოფლო საბჭოს აღმასკომის დეპუტატის ვ. ჯღარკავას წერილი „დეპუტატის შენიშვნები“, რომელიც ეხებოდა ცაიშის სასოფლო კლუბის მშენებლობის გაჭიანურების ფაქტს და სოფლის სხვა ნაკლოვანებებს. გაზეთის ამონაბეჭერი გაეგზავნა ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომს, მაგრამ პასუხი რედაქციას ჯერ კიდევ არ მიუღია, მიუხედავად იმისა, რომ სამჯერ შეახსენა. გამოუქვეყნებელ წერილზე სათაურით „საკოლმეურნეო ბაზარში წესრიგი უნდა დამყარდეს“ ზუგდიდის რაისაბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამბ. ბ. ესართია რედაქციას სწერდა: „წერილში აღნიშნული ფაქტები დადასტურდა. აღნიშნული საკითხის შემოწმების შედეგები განიხილა რაისაბჭოს აღმასკომმა და დასახა საჭირო (!) ღონისძიებანი არსებულ ნაკლოვანებათა აღმოსაფხვრელად“. მაგრამ ეს ხომ ზოგადი, ფორმალური პასუხია. რედაქციას და მკითხველებს აინტერესებთ, ფაქტიურად რა გაკეთდა.

ყველა ორგანიზაცია და ხელმძღვანელი მუშაკი მოვალეა არ ივიწყებდეს და ახორციელებდეს რკპ(ბ) VIII ყრილობის რეზოლუციის იმ პუნქტს, რომელშიც ნათქვამია: „ის პირნი ან დაწესებულებანი, რომელთა მოქმედებაზეც ლაპარაკია პრესაში, ვალდებული არიან უმოკლეს ვადაში მისცენ იმავე გაზეთის ფურცლებზე საქმიანი ფაქტიური უარყოფა, ანდა მიუთითონ გამოსწორებულ ნაკლოვანებებსა და შეცდომებზე“.

კრიტიკა და თვითკრიტიკა ადამიანთა შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთების დაძლევის მძლავრი საშუალებაა. ადამიანის შეგნებაში კაპიტალიზმის გადმონაშთები, უწინარეს ყოვლისა, თავს იჩენენ შრომისადმი არაჯანსაღი დამოკიდებულებით. საბჭოთა ადამიანის მორალური სახისათვის უცხოა უქნარობა, ცუღლუტობა და კომბინატორობა, პირადულის საზოგადოებრივზე მაღლა დაყენება, საყოფაცხოვრებო ნორმების დარღვევა, ნაციონალიზმი, ბიუროკრატიზმი და მლიქნეველობა. ყველა ამ სიმახინჯის წინააღმდეგ ბრძოლაში გვეხმარება კრიტიკა და თვითკრიტიკა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებში ნათქვამია:

საბჭოთა დაწესებულებების მუშაკებო! იბრძოლეთ საბჭოთა სახელმწიფო აპარატის მუშაობის ლენინური პრინციპების დაცვისათვის, სოციალისტური კანონიერების განმტკიცებისათვის, გადაჭრით აღმოფხვრით ბიუროკრატიზმი და საქმის გაჭიანურება, გულისხმიერად მოეკიდეთ მშრომელთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს!

კრიტიკა და თვითკრიტიკა კადრების კომუნისტური აღზრდის მეთოდია. იგი არა მარტო გვიადვილებს შეცდომებისა და ნაკლოვანებების აღმოფხვრას, არამედ იმაშიც გვეხმარება, რომ თავიდან ავიცილოთ მუშაკების თვითკმაყოფილების ჭაობში ჩაფლობის, გაყოყოჩებისა და გამედიდურების საშიშროება.

ამიტომ საჭიროა ყურს ვუგდებდეთ მასების ხმას, მივესალმებოდეთ და მხარს ვუჭერდეთ მასების შემოქმედებითს ინიციატივას, აქტიურად ვიცავდეთ ყველას, ვინც გაბედულად გამოდის საღი კრიტიკით და ამხილებს შეცდომებსა და ნაკლოვანებებს.

რა თქმა უნდა, ჩვენ არ შეგვიძლია მხარი დავუჭიროთ ყოველგვარ კრიტიკას. არიან არაკეთილსინდისიერი ადამიანები, რომლებიც კრიტიკის ნიღბით ხელს უშლიან მუშაობაში პატიოსან მუშაკებს. ახლი ყველაფერს შავი ფერებით ხატავენ, არა სურთ შენიშნონ ყოველივე ის, რაც ახალი და მოსაწონია ჩვენს ცხოვრებაში, აზვიადებენ სიძნელეებს და უიმედოდ წუწუნებენ. აქა-იქ ისეთი მუშაკებიც მოიძებნებიან, რომლებიც კარიერიტული მიზნით ან განაწყენების შედეგად აწყობენ ინტრიგებს, წერენ ანონიმურ წერილებს, ყველა ინსტანციაში გზავნიან საჩივრებს.

ცხადია, ის ადამიანები, რომლებიც შეგნებულად და წინასწარგანზრახვით აზვიადებენ შეცდომებსა და ნაკლოვანებებს, უსაფუძვლოდ სწამებენ ცილს პატიოსან მუშაკებს და ამბოლებენ საერთო საქმეს, არცხვენენ საბჭოთა ხალხს, კომუნიზმის მშენებელ ხალხს. მათ წინააღმდეგ უნდა ამხედრდეს საზოგადოებრივი აზრი.

ადგილობრივი პარტიული, პროფკავშირული, კომკავშირული ორგანიზაციების ამოცანა ის არის, რომ ფართოდ გაშალონ კრიტიკა და თვითკრიტიკა, აღზარდონ საბჭოთა ადამიანები სახელმწიფო ინტერესების დაცვის, ნაკლოვანებებისადმი შეურიგებლობის და წინსვლის სულისკვეთებით, მთელი ძალები დარაზმონ პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის საბრძოლველად.

ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის კომუნიკეს

30 ოქტომბერს 18 საათსა და 25 წუთზე მოსკოვის დროით კრემლის დიდ სასახლეში ხელი მოაწერეს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის კომუნიკეს საბჭოთა კავშირში ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მისი უმაღლესობის მუჰამედ დაუდის ყოფნის შესახებ.

კომუნიკეს ხელი მოაწერეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა და ავღანეთის სამეფო მთავრობის პრემიერ-მინისტრმა სარდარმა მუჰამედ დაუდმა.

ხელმოწერას დაესწრნენ ამხანაგები ლ. მ. კაგანოვიჩი, ვ. მ. მოლოტოვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, გ. კ. ჟუკოვი, დ. ტ. შეპილოვი, სსრ კავშირის კულტურის მინისტრი ნ. ა. მიხაილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ვ. ს. სემიონოვი, სსრ კავშირის ელჩი ავღანეთში მ. ვ. დეგტიარი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს შუა აღმოსავლეთის ქვეყნების განყოფილების გამგის მოვალეობის შემსრულებელი ა. პ. პავლოვი.

ავღანეთის მხრივ ხელმოწერას დაესწრნენ პრემიერ-მინისტრის პირველი მოადგილე ალი მუჰამედი, შინაგან საქმეთა მინისტრი აბდულ ჰაკიმი, ავღანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთოპოლიტიკური დეპარტამენტის უფროსი აბდულ რაჰმან პაჟვაკი, ავღანეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში გულამ იაჰია თარზი.

საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრობის მიტინგი

მეგობარი ავღანელი ხალხის წარმომადგენლები, რომლებიც მოსკოვს დაბრუნდნენ სსრ კავშირში მოგზაურობიდან, 29 ოქტომბერს შეხვდნენ დედაქალაქის მშრომელთა მრავალრიცხოვან წარმომადგენლებს. კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში გაიმართა საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრობისადმი მიძღვნილი მიტინგი. საბჭოთა ადამიანებმა ახალი ძალით გამოხატეს ღრმა სიმპათიები იმ ქვეყნისადმი, რომელიც იცავს მშვიდობის საქმეს და ახორციელებს თავისი დამოუკიდებლობის განმტკიცების პოლიტიკას.

დარბაზში შეიკრიბნენ ქარხნებისა და ფაბრიკების მუშები, მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეები, საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლები. სცენის თავზე ცისფერ ტილოზე პუშტუ და რუსულ ენებზე წარწერილია: „დაე მტკიცდებოდეს და ვითარდებოდეს საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობა მთელ მსოფლიოში მშვიდობის საკეთილდღეოდ!“.

მიტინგის მონაწილენი გულთბილად მიესალმნენ ავღანეთის პრემიერ-მინისტრს მუჰამედ დაუდს, ავღანეთის მთავრობის დელეგაციის წევრებს, ამხანაგებს ნ. ა. ბულგანინს, ვ. მ. მოლოტოვს, მ. ზ. საბუროვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, დ. ტ. შეპილოვს, ე. ა. ფურცევას, რომლებიც პრეზიდიუმში შემოვიდნენ.

დაესწრეთა შორის არიან ავღანეთის ელჩი სსრ კავშირში გულამ იაჰია თარზი, სსრ კავშირის ელჩი ავღანეთში მ. ვ. დეგტიარი, სსრ კავშირში აკრედიტებული მთელ რიგ დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

მიტინგი გახსნა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარემ ნ. ი. ბობროვნიკოვმა.

— საბჭოთა მთავრობის მოწვევით, — თქვა მან, — ჩვენს ქვეყანაში იმყოფება ჩვენი მეგობარი და მეზობელი ავღანეთის მთავრობის დელეგაცია. ნება მიბოძეთ მოსკოვის მშრომელთა სახელით მხურვალედ მივესალმო დელეგაციის მეთაურს, ავღანეთის პრემიერ-მინისტრს მუჰამედ დაუდს და ავღანეთის მთავრობის დელეგაციის წევრებს.

დარბაზში მოწონებას გამოხატავს ხანგრძლივი ტაში, მიესალმება სტუმრებს და მათი სახით მთელ ავღანელ ხალხს.

ჩვენს ქვეყანაში ავღანეთის მთავრობის დელეგაციის ჩამოსვლა, განაგრძობს ნ. ი. ბობროვნიკოვი, იმის ახალი დადასტურებაა, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრობა და საქმიანი თანამშრომლობა ფართოვდება და მტკიცდება. დელეგაციის წევრების შეხვედრები საბჭოთა ადამიანებთან ყველგან გადაიქცა ავღანელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობის მკაფიო დემონსტრაციად.

ნ. ი. ბობროვნიკოვი მიტინგს გახსნილად აცხადებს. ჟღერს ავღანეთისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნები.

• • •

სიტყვა ეძლევა ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ ხარატს ვ. ფ. შუმილინს.

ამხანაგ ვ. ფ. შუმილინის სიტყვა

დიდად პატივცემულო ბატონო ავღანეთის პრემიერ-მინისტრო მუჰამედ დაუდ, ძვირფასო სტუმრებო!

ნება მიბოძეთ ამ მიტინგის მონაწილეთა და ქალაქ მოსკოვის ყველა მშრომელის სახელით გადმოგცეთ ჩვენი მხურვალე, გულითადი სალამი. (ტაში).

ჩვენ, მოსკოველები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, მხურვალე მოწონების გრძნობით შევხვდით თქვენს ჩამოსვლას ჩვენს ქვეყანაში, ძვირფასო სტუმრებო, მეგობარი ავღანელი ხალხის წარმომადგენლებო.

ჩვენს ქვეყნებს შორის დამყარებულია დიდი ხნის გულწრფელი მეგობრობა, რომელიც ორი სახელმწიფოს კეთილმეზობლური თანამშრომლობის მაგალითია.

ამ მეგობრობას საფუძველი ჩაეყარა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ. ჩვენი ქვეყანა მსოფლიოში პირველი ქვეყანა იყო, რომელმაც ცნო ავღანეთის დამოუკიდებლობა და დაამყარა მასთან დიპლომატიური ურთიერთობა. ეს იყო დიდი მხარდაჭერა ავღანელი ხალხისათვის მის სამართლიან განმათავისუფლებელ ბრძოლაში უცხოელ დამმონებელთა წინააღმდეგ.

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. ამ ხნის განმავლობაში კიდევ უფრო განმტკიცდა ჩვენი მეგობრობა.

თქვენს ქვეყანაში საბჭოთა სახელმწიფოს ხელმძღვანელების ამხანაგების ნ. ა. ბულგანინისა და ნ. ს. ხრუშჩოვის გამგზავრება და თქვენი ყოფნა ჩვენს ქვეყანაში, დიდად პატივცემულო მუჰამედ დაუდ, ცხადყოფს საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის ურთიერთობის გულწრფელობასა და გულითადობას.

ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში თვალსაჩინო მოვლენა იყო კომუნისტური პარტიის XX ყრილობა. ახლა მთელი საბჭოთა ხალხი თავდადებით შრომობს მის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, მეექვსე ხუთწლიდის პირველი წლის გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

წარმატებით მუშაობს აგრეთვე ჩარხმშენებელი ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ კოლექტივი, სადაც აი უკვე ათ წელზე მეტია ვმუშაობ. ჩარხების წარმოების ათი თვის გეგმა 1 ოქტომბრისათვის შევასრულეთ. პირადად მე ამ ხნის განმავლობაში შევასრულე ორნახევარი წლიური ნორმა. ჩვენს ქარხანაში წარმოებაში ინერგება უფრო სრულყოფილი ჩარხები. ქარხნის პროდუქცია იგზავნება მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში. ჩვენთვის სასიამოვნოა, რომ ჩარხები ქარხანა „კრასნი პროლეტარის“ მარკით ავღანეთშიც მუშაობენ.

საბჭოთა ადამიანების შრომას შესანიშნავი ნაყოფი მოაქვს. წლითიწლობით სულ უფრო იფურჩქნება ჩვენი სამშობლო, სულ უფრო უმჯობესდება ჩვენი ცხოვრება.

საბჭოთა ადამიანების მთელი ფიქრები და მისწრაფებანი მიმართულია მშვიდობისაკენ.

ჩვენი ხალხი მხურვალედ უჭერს მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის საგარეო პოლიტიკას — ხალხთა შორის მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკას.

ჩვენ გვახარებს, რომ მშვიდობის საქმეში თავისი წვლილი შეაქვს თავისუფლებისმოყვარე ავღანელ ხალხსაც, რომელიც აქტიურად მონაწილეობს ბანდუნგის კონფერენციის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებათა განხორციელებაში.

გთხოვთ, დიდად პატივცემულო პრემიერ-მინისტრო, გადასცეთ ავღანეთის ხალხებს ჩვენი მეგობრული სალამი და საუკეთესო სურვილები — მიაღწიონ წარმატებებს თავიანთი სამშობლოს ეკონომიურ და კულტურულ განვითარებაში.

ავღანელ ხალხს შეუძლია დარწმუნებული იყოს, რომ ჩვენი სახით, საბჭოთა ადამიანების სახით, მას ჰყავს ერთგული, თავდადებული და უანგარო მეგობრები.

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის ხალხებს შორის ურღვევ მეგობრობას! (ტაში).

* * *

სიტყვას ამბობს აკადემიკოსი ნ. ნ. სემიონოვი.

ამხანაგ ნ. ნ. სემიონოვის სიტყვა

საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს ერთმანეთისაგან ჰყოფს უდაბნოები და მაღალი თოვლიანი მთები. მაგრამ განა ისინი შეიძლება დაბრკოლება იყოს მეგობრების ურთიერთობისათვის. ერთი წელიც არ გასულა, რაც ავღანელი ხალხი სტუმართმოყვრულად შეხვდა ამხანაგებს ბულგანინსა და ხრუშჩოვს, დღეს კი ჩვენ შევიკრიბეთ ამ დარბაზში, რომ სულით და გულით მივესალმოთ ავღანეთის თავისუფლებისმოყვარე ხალხის წარმოგზავნილებს — პრემიერ-მინისტრს მუჰამედ დაუდს და ავღანეთის დელეგაციის სხვა წევრებს. (ტაში).

ჩვენ მოწმენი ვართ ჩვენი ქვეყნების დღითიდღე მზარდი მეგობრობისა და თანამშრომლობისა, მეგობრობისა, რომელმაც დროის გამოცდას გაუძლო.

ჩვენი მეგობრობა კონიუნქტურული მოვლენა როდია. მას საფუძვლად უდევს ორივე ჩვენი ქვეყნისათვის საერთო გულწრფელი და კეთილშობილური მისწრაფება მშვიდობისა და საყოველთაო უშიშროებისადმი.

თანასწორობის, სუვერენიტეტისა და ეროვნული დამოუკიდებლობის პატივისცემის ურყევი პრინციპები ერთნაირად ძვირფასია ჩვენთვის. სახელმწიფოებრივი და პოლიტიკური სისტემების განსხვავების მიუხედავად საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის ურთიერთობა ორი სახელმწიფოს მშვიდობიანი თანაარსებობისა და მეგობრული კეთილმეზობლური თანამშრომლობის მკაფიო მაგალითია.

საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ ავღანეთის დამოუკიდებელ, მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, ნეიტრალიტეტისა და სამხედრო ბლოკებში მონაწილეობის მიუღებლობის პოლიტიკას.

საბჭოთა ადამიანები დიდად აფასებენ კეთილშობილი ავღანელი ხალხის თავისუფლებისმოყვარეობას, მის სიამაყესა და სიმამაცეს, რაც ასე მკაფიოდ გამოვლინდა ავღანელთა მრავალსაუკუნოვანი ბრძოლით თავიანთი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის.

ჩემთვის, როგორც საბჭოთა ადამიანისათვის, როგორც მეცნიერისათვის, სასიამოვნოა ვხედავდე იმ პროგრესს ტექნიკის, მეცნიერებისა და კულტურის დარგში, რომელსაც ავღანეთმა მიაღწია დამოუკიდებელი განვითარების წლებში. ავღანეთში აშენდა მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები. შექმნილია მეცნიერებათა აკადემია, უნივერსიტეტი, პედაგოგიური ინსტიტუტი და სხვა კულტურული დაწესებულებანი, მთავრობამ შეიმუშავა ეროვნული ეკონომიკის განვითარების ხუთწლიანი გეგმა.

საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრობისა და თანამშრომლობის მკაფიო გამოხატულებაა ის უანგარო დახმარება, რომელსაც ჩვენი ქვეყანა უწევს თავის მეგობარ მეზობელს. საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით შენდება მთელი რიგი სამრეწველო საწარმოები, გზები, საირიგაციო ნაგებობანი. ჩვენ ვაპროექტებთ და მალე დავიწყებთ ფიზიკა-ქიმიის ლაბორატორიის მშენებლობას ქაბულში.

ჩვენ, საბჭოთა მეცნიერებს, გულწრფელად გვახარებს ავღანეთის ეკონომიკისა და მეცნიერების განვითარება და მზად ვართ ყველაფრით, რითაც შეგვიძლია, დავეხმაროთ ჩვენს მეგობარ ავღანელ ხალხს მისი პროგრესის საქმეში.

ჩვენ გულწრფელად გვახარებს, რომ ამ ბოლო დროს გაძლიერდა კონტაქტი ჩვენი ქვეყნების მეცნიერებისა და კულტურის მოღვაწეებს შორის. დარწმუნებული ვარ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის კულტურული და მეცნიერული გაცვლა განმტკიცდება და გაფართოვდება. საბჭოთა მეცნიერები მზად არიან პრაქტიკული დახმარება გაუწიონ ავღანეთს საბუნებისმეტყველო განათლების მოწყობასა და გაუმჯობესებაში და სათანადო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და ლაბორატორიების მოწყობაში.

ქაბულის უნივერსიტეტის რექტორის თხოვნით (მოსკოვის უნივერსიტეტის დათვალიერების დროს) ქაბულში გაიგზავნა მთელი რიგი ხელსაწყოები და აპარატები და დახმარება გაეწია მათს მონტაჟში. ქაბულის მეცნიერთა თხოვნით მოსკოვის უნივერსიტეტმა ამას წინათ ქაბულში გაგზავნა საბჭოთა კავშირის მეცნარეების ჰერბარიუმი და პატარა გეოლოგიური კოლექცია.

ყველა ჩვენ, მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორები და მასწავლებლები, გაგვახარა იმან, რომ ჩვენში ჩამოვიდა ბატონი მუჰამედ დაუდი, რომელმაც ასე გულდასმით დაათვალიერა ჩვენი უნივერსიტეტი.

როგორც მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორს, შემიძლია ვთქვა, რომ პირადად მე და, უეჭველია, ყველა ჩემი კოლეგა — პროფესორი დიდი კმაყოფილებით ნახავდა ჩვენს უნივერსიტეტში, ჩვენი უნივერსიტეტის ლაბორატორიებში ავღანელ სტუდენტებს და ყოველ ღონეს იხმარდა, რათა გადაეცა მათთვის ჩვენი ცოდნა და მეცნიერული კვლევის მეთოდები.

ჩვენს ქვეყანაში ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მუჰამედ დაუდის ჩამოსვლა ახალი დიდმნიშვნელოვანი წვლილია საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრული ურთიერთობის განვითარების საქმეში.

ნება მიბოძეთ ერთხელ კიდევ სულით და გულით მივესალმო ჩვენს ძვირფას სტუმრებს — პრემიერ-მინისტრს მუჰამედ დაუდს და მის თანამგზავრებს. ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვის საზოგადოებრიობის სახელით მინდა ვუსურვო ბედნიერება და აყვავება ავღანელ ხალხს. დაე განმტკიცდეს და განვითარდეს საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრობა და თანამშრომლობა ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, მთელ მსოფლიოში მშვიდობის საკეთილდღეოდ. (ტაში).

* * *

მიტინგის მონაწილენი მჭუხარეტაშით მიესალმნენ ავღანეთის მთავრობის დელეგაციის მეთაურს ავღანეთის პრემიერ-მინისტრს მუჰამედ დაუდს.

ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მუჰამედ დაუდის სიტყვა.

თქვენო აღმატებულებავ პრემიერ-მინისტრო და პატივცემულო დამსწრე ბატონებო!

ფრიად ბედნიერი ვარ, რომ ამ სასიხარულო წუთს თქვენს შორის ვიმყოფები. ეს სასიამოვნო შეხვედრა მოხდა იმ დროს, როცა მე შესაძლებლობა მქონდა მენახა თქვენი დიდი და ლამაზი ქვეყნის ზოგიერთი რაიონი და მივიღე მეტად სასიამოვნო და დაუვიწყარი შთაბეჭდილებანი, რომლებითაც მოსკოვს დავბრუნდი. მე და ჩემი ამხანაგები ამ მოგზაურობის დროს შევხვედით ისეთ გულწრფელ გრძნობებს, ისეთ მიღებას, რამაც გულის სიღრმემდე გვასიამოვნა და სამუდამოდ დარჩება ჩვენს მეხსიერებაში.

ჩვენი უმნიშვნელოვანესი დაკვირვება, რომელსაც ჩვენთვის დიდი მორალური ღირებულება აქვს, ის არის, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები და ერები მეგობრული და გულწრფელი გრძნობებით არიან გამსჭვალულნი ავღანეთისადმი. ასეთივე გრძნობებით არის გამსჭვალული ავღანელი ხალხი საბჭოთა კავშირის ხალხებისადმი. (ტაში). საბჭოთა რესპუბლიკებში ჩვენდამი გამოავლინეს მეგობრული გრძნობები, და ჩვენ დიდი სიხარულით შევინახავთ ამას გულში და გადავცემთ ავღანელ ხალხს. დარწმუნებული ვართ, რომ ავღანელები დააფასებენ ამ მეგობრულ და გულწრფელ გრძნობებსა და დამოკიდებულებას.

ავღანელი ხალხის მეგობრობა საბჭოთა კავშირის ხალხებთან ძველი მეგობრობაა. ისტორიის ყველა პერიოდში მან შეინარჩუნა თავისი სიმტკიცე გულწრფელობის, ურთიერთ ნდობისა და პატივისცემის საფუძველზე. ავღანელები ისწრაფვოდნენ და ისწრაფვიან განაგრძონ და განამტკიცონ მეგობრობა ჩვენს ქვეყნებს შორის. ავღანეთის მთავრობისა და ჩვენი მეგობარი და მეზობელი ქვეყნის — საბჭოთა კავშირის მთავრობის კეთილი ურთიერთობა ემყარება ამ კეთილშობილურ ურთიერთ გრძნობებს.

ჩვენი მისწრაფება და სურვილი ის არის, რომ უზრუნველყოთ ბედნიერება და სიმშვიდე მთელ მსოფლიოში, რაც კაცობრიობის უდიდესი სურვილია. მსოფლიოს ხალხებს ახლა უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე, ესაჭიროებათ ამ თავისი ბუნებრივი მისწრაფების უზრუნველყოფა. ავღანეთს უფრო მეტად, ვიდრე ვისმე, ესაჭიროება მშვიდობა და საერთაშორისო უშიშროება, აგრეთვე მთელი კაცობრიობის სიმშვიდე და ბედნიერება თავის ეროვნულ საჭიროებათა დაკმაყოფილებისათვის. აი ამიტომ ავღანეთს მხურვალედ სურს გულწრფელი მეგობრობა ყველა ხალხთან და ესწრაფვის ახლო, მეგობრულ და გულწრფელ ურთიერთობას მთელი მსოფლიოს ხალხებთან და ერებთან.

მოსკოვში პირველად ჩამოსვლის დროს პატივი მქონდა დავსწრებოდი დარბაზობას, რომელიც მოაწყეს ბანდუნგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების პატივცემულმა წარმომადგენლებმა. ვიგონებ რა ამ შეხვედრას, მინდა ვთქვა, რომ ბანდუნგის კონფერენცია ხალხთა საერთო მისწრაფების გამომხატველი იყო. მინდა გარკვევით განვაცხადო, რომ ავღანელ ხალხს ახარებს, რომ მის მისწრაფებას მშვიდობისადმი, უშიშროებისადმი, ხალხებისა და ერების მეგობრული ურთიერთობისადმი ურთიერთ პატივისცემისა და ნდობის საფუძველზე იზიარებს დედამიწის ყველა ადამიანი.

ავღანეთი თავის საერთაშორისო პოლიტიკაში იცავს ნეიტრალიტეტს და თავისუფლად და დამოუკიდებლად, აგრეთვე უანგაროდ ცხოვრობს მეგობრულად მთელი მსოფლიოს ხალხებთან და ერებთან. ეს პოლიტიკა ტრადიციულია ავღანელებისათვის, და მათ შეინარჩუნეს და ახორციელებდნენ მას მიუხედავად ბევრი მოვლენისა, და შეინარჩუნებენ მომავალშიც.

ავღანეთის პოლიტიკას საფუძვლად უდევს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, აგრეთვე ბანდუნგის კონფერენციის პრინციპები, რომლებიც შეესაბამებიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პრინციპებს.

უდიდესმა მსოფლიო მოვლენებმა ვერაფერი დააკლო ამ ტრადიციულ პოლიტიკას, და

საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრობის მიტინგი

(დასასრული)

ამ ატმოსფეროს შექმნა სავსებით აუცილებელია მთელი მსოფლიოს დიდი და პატარა ხალხებისათვის.

უმნიშვნელოვანესი ფაქტორი, რომელსაც გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მთელ მსოფლიოში მშვიდობის შენარჩუნებისათვის, არის ხალხებისა და ერების უფლებათა და განსაკუთრებით თავისუფლების უფლებათა პატივისცემა. დაძაბულობა, რომელიც ამ პრინციპის განხორციელებასთან დაკავშირებით წარმოიშვა სხვადასხვა ქვეყანას შორის, გვაფიქრებს და შეშფოთებას იწვევს. ეს მდგომარეობა ჩრდილოეთ აფრიკასა და შუა აღმოსავლეთში და მსოფლიოს სხვა პუნქტებში აღელვებს ყველას გულს, რომელსაც მშვიდობა და სიმშვიდე სურს.

იმედი გვაქვს, რომ მთელი მსოფლიოს სახელმწიფოები, განსაკუთრებით დიდი სახელმწიფოები, ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ეს საკითხები გადაიჭრას სამართლიანობის, თანასწორობის საფუძველზე, ურთიერთგაგებისა და კეთილმოსურნეობის გზით.

მთელი მსოფლიოს მცირე ხალხები დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკაზე მსჯელობენ მათი დამოკიდებულებით ხალხებისა და ერების უფლებათა მინიჭებისა და დაცვისადმი. ავღანეთი თავის მხრივ თავისუფლად აფასებდა სხვადასხვა ქვეყნის პოლიტიკას ამ პრინციპის საფუძველზე.

ნება მიბოძეთ ამ მიტინგზე, რომელიც მიძღვნილია საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრობისადმი, განვაცხადო, რომ ჩვენს მეგობარ და მეზობელ ქვეყნებს შორის არსებული მეგობრული ურთიერთობა ავღანელი ხალხის სიხარულს იწვევს და ჩვენი ხალხი აფასებს ამ ურთიერთობას. **(ტაში).**

ავღანეთს სურს ასეთივე კეთილი და მეგობრული ურთიერთობა დამყარდეს მთელი მსოფლიოს ხალხებსა და ერებს შორის.

მე ვლოცულობ დამსწრეთა ჯანმრთელობისათვის, საბჭოთა კავშირის ხალხთა ბედნიერებისათვის, მსოფლიოს ყველა ქვეყნის ბედნიერებისა და სიმშვიდისათვის! **(ტაში).**

დაე მტკიცე იყოს მეგობრობა ხალხებსა და ერებს შორის!

დაე სამარადისო იყოს მეგობრობა ავღანეთსა და საბჭოთა კავშირს შორის! **(ყველანი ფეხზე დგებიან, მქუხარე ტაში).**

* * *

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ბულგანინმა, რომელსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის **ნ. ა. ბულგანინის** სიტყვა

თქვენო უმაღლესობავ, ავღანეთის პრემიერ-მინისტრო!
ძვირფასო სტუმრებო!
ამხანაგებო!

საბჭოთა მთავრობა და საბჭოთა ხალხი დიდი კმაყოფილებით აღნიშნავენ ავღანეთის მთავრობის მეთაურის პრემიერ-მინისტრის მისი უმაღლესობის მუჰამედ დაუდისა და მისი თანმხლები პირების ჩამოსვლას ჩვენში.

საბჭოთა მთავრობის სახელით, აქ შეკრებილ მოსკოვის მშრომელების წარმომადგენელთა და მთელი საბჭოთა ხალხის სახელით გულითადად მივესალმები პატიცემულ სტუმრებს და მადლობას ვუძღვნი ბატონ პრემიერ-მინისტრს ჩვენი ქვეყნის შესახებ მეგობრული სიტყვების წარმოთქმისათვის. **(ტაში).**

საბჭოთა კავშირსა და ავღანეთს შორის დიდი ხანია არსებობს მტკიცე მეგობრობა. იგი წარმოიშვა საბჭოთა სახელმწიფოს შექმნის პირველ წლებში, როცა ჩვენი ხალხი სასტიკ ბრძოლას ეწეოდა შინაური კონტრრევოლუციური ძალების წინააღმდეგ და იმპერიალისტური ინტერვენციის ძალების წინააღმდეგ. ამავე დროს ავღანელმა ხალხმა კოლონიზატორთა წინააღმდეგ მამაცურ ბრძოლაში მოიპოვა თავისი დამოუკიდებლობა და სუვერენიტეტი.

ჩვენს ქვეყნებს შორის მეგობრული ურთიერთობა გამოიხატა საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ცნობილი ხელშეკრულებით, რომელიც ხელმოწერილია 1921 წლის 28 თებერვალს. ეს იყო პირველი თანასწორუფლებიანი ხელშეკრულება, რომელიც ავღანეთმა დადო დიდ სახელმწიფოსთან.

მთელი შემდგომი წლების მანძილზე ჩვენს ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობა მტკიცდებოდა და წარმატებით ვითარდებოდა. იმ საკითხების გადაჭრაში, რომლებიც ორივე სახელმწიფოს ეხებოდა, საბჭოთა კავშირი და ავღანეთი მუდამ პოულობდნენ საერთო ენას და ურთიერთგაგებას.

ჩვენს ქვეყნებს შორის ურთიერთობას საფუძვლად ედო და უდევს ჩვენი დიდი მასწავლებლისა და აღმოსავლეთის ხალხთა დიდი მეგობრის ვლადიმერ ილიას-ძე ლენინის მიერ გამოცხადებული პრინციპები, ტერიტორიული მთლიანობის, ურთიერთ პატივისცემისა და ერთმანეთის საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპები. საბჭოთა კავშირი განუხრელად იცავდა ამ პრინციპებს ყველა სახელმწიფოსთან ურთიერთობაში.

როგორც ცნობილია, თანაარსებობის პრინციპები შემდგომ განვითარდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკისა და ინდოეთის მთავრობებს შორის მოლაპარაკებაში, ხოლო შემდეგ აზიისა და აფრიკის ქვეყნების ბანდუნგის კონფერენციის გადაწყვეტილებებში, რომლის მუშაობაში ავღანეთმა თავისი წვლილი შეიტანა.

საბჭოთა კავშირი, ლენინური პოლიტიკის ერთგული, მუდამ ილაშქრებდა და ილაშქრებს კოლონიალიზმის წინააღმდეგ და მხარს უჭერს ბანდუნგის პრინციპებს. ბანდუნგის სულისკვეთების ერთ-ერთი გამოვლინებაა აზიისა და აფრიკის ქვეყნების მიერ კოლონიზატორთა იმ ცდების ერთსულოვანი დაგმობა, რომ ეგვიპტეს თავს მოახვიონ თავიანთი ნება სუეცის არხის საკითხში. იცავს რა თავიანთი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ხალხების კეთილშობილურ პრინციპებს, საბჭოთა კავშირი სუეცის საკითხში დგას ავღანეთთან და სხვა ქვეყნებთან ერთად, რომლებიც მოითხოვენ ეგვიპტის სუვერენული უფლებების დაცვას.

საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრობა, რომელიც იზრდება და მტკიცდება მიუხედავად სოციალურ-პოლიტიკური სისტემების განსხვავებისა, შეიძლება იყოს სახელმწიფოთა შორის კარგი, კეთილმეზობლური თანამშრომლობის მაგალითი.

საბჭოთა კავშირ-ავღანეთის ურთიერთობა არასოდეს არ დაჩრდილულა რაიმე კონფლიქტითა და დავით; ამ ურთიერთობამ გაუძლო დროის ყველა გამოცდას, მათ შორის მეორე მსოფლიო ომის განსაცდელს, როცა ავღანეთი ერთგული დარჩა ნეიტრალიტეტის თავისი ტრადიციული პოლიტიკისა და იმ ვალდებულებებისა, რომლებიც გამომდინარეობენ საბჭოთა კავშირ-ავღანეთის 1931 წლის ცნობილი ხელშეკრულებიდან ნეიტრალიტეტისა და ურთიერთ თავდაუსხმელობის შესახებ.

ნეიტრალიტეტისა და დამოუკიდებლობის პრინციპი ამჟამად უდევს საფუძვლად ავღანეთის საგარეო პოლიტიკას. ჩვენს ქვეყანაში კმაყოფილებით შეხვდნენ ბატონ პრემიერ-მინისტრის მუჰამედ დაუდის სიტყვებს, რომლებიც მან ამას წინათ წარმოთქვა ბანდუნგის კონფერენციის მონაწილე ქვეყნების დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მოსკოვში აკრედიტებული მეთაურების მიერ მის პატივსაცემად გამართულ სადილზე:

„ავღანეთი ნეიტრალური მშვიდობისმოყვარე ქვეყანაა. ავღანეთის ნეიტრალიტეტი საერთაშორისო პოლიტიკაში, აგრეთვე მისი მშვიდობისმოყვარეობა სავსებით ბუნებრივი მოვლენებია. ავღანეთის ხალხი ესწრაფვის თავისი ცხოვრების გაუმჯობესებას ყველა დარგში. ავღანეთისათვის ამას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს, რადგან მსოფლიოს ყველა ქვეყნისათვის, რომლებმაც დღემდე ვერ მიაღწიეს განვითარების უმაღლეს დონეს, თავისი ჩამორჩენის დაძლევის აუცილებლობას უდავო მნიშვნელობა აქვს, ეს კი შესაძლებელია მხოლოდ უშიშროებისა და საყოველთაო მშვიდობის პირობებში“.

აღნიშნული განცხადება იმის ურყევ რწმენას გვიქმნის, რომ ავღანეთთან ჩვენი ურთიერთობის შემდგომ განვითარებას საიმედო საფუძველი აქვს.

ამ ბოლო დროს ავღანეთისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო მოღვაწეებს შორის მჭიდრო პირადი კონტაქტი დამყარდა. გასული წლის დამლევს მე და ნიკიტა სერგის-ძე ხრუშჩოვი და სხვა ამხანაგები მისი უდიდებულესობის ავღანეთის მეფის მუჰამედ ზაჰირ შაჰის მთავრობის მიწვევით ავღანეთში ვიყავით. ამ ვიზიტის დროს ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა დავრწმუნებულიყავით, რომ ავღანეთის მთავრობას და ავღანელ ხალხს სურთ განამტკიცონ მეგობრული ურთიერთობა და განავითარონ თანამშრომლობა ორივე ქვეყანას შორის. ავღანეთის ასეთი სურვილი სავსებით შეესაბამება საბჭოთა მთავრობისა და საბჭოთა კავშირის ხალხების მისწრაფებას იცხოვრონ მეგობრულად ყველა მეზობელთან.

თავის ეკონომიურ ურთიერთობას სხვა სახელმწიფოებთან საბჭოთა კავშირი აგებს თანასწორობის, ურთიერთ ნდობისა და ურთიერთ სარგებლობის პრინციპებზე. ამ პრინციპებს ემყარება აგრეთვე თავის დროზე გამოქვეყნებული საბჭოთა კავშირ-ავღანეთის კომუნიკე სსრ კავშირსა და ავღანეთს შორის ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ და ყველა ჩვენი ეკონომიური შეთანხმება. საბჭოთა კავშირს გულწრფელად სურს ავღანეთის ეკონომიკის ყოველმხრივი განვითარება.

ავღანეთის პრემიერ-მინისტრის მისი უმაღლესობის მუჰამედ დაუდის ვიზიტი საბჭოთა კავშირში მოწმობს, რომ საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრული ურთიერთობა კვლავ განუხრელად ვითარდება.

ჩვენი საუბრების დროს, რომლებიც ნდობისა და ურთიერთგაგების ვითარებაში მიმდინარეობდა, ერთმანეთს გავუზიარეთ აზრები მთელ რიგ საკითხებზე, რომლებიც ჩვენი ქვეყნების ურთიერთობას ეხება. კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან საერთაშორისო პრობლემებზე ჩვენ გვაქვს შეხედულებათა ერთობა, რაც განპირობებულია იმით, რომ როგორც საბჭოთა კავშირი, ისე ავღანეთი ისწრაფვიან განამტკიცონ მშვიდობა და აღმოფხვრან ომის საფრთხე.

ჩვენ შევძელით აგრეთვე მეგობრული სულისკვეთებით გადაგვეჭრა მთელი რიგი მომწიფებული პრობლემები ჩვენი ეკონომიური და ტექნიკური თანამშრომლობის დარგში. ჩვენ აღვნიშნეთ, რომ მოლაპარაკებამ ავღანეთის მთავრობასთან, რომელიც ქაბულში წარმოებდა შარშან ჩვენი ვიზიტის დროს, და დოკუმენტებმა, რომლებსაც ხელი მოვაწერეთ ამ მოლაპარაკების შედეგად, დიდი სარგებლობა მოუტანა ორივე სახელმწიფოს.

ჩვენო ძვირფასო და პატივცემულო სტუმრებო!

თქვენმა ჩამოსვლამ ჩვენს ქვეყანაში შესაძლებლობა მოგვცა კიდევ უკეთ გაგვეცნო ერთმანეთი, გამოგვევლინებინა ერთნაირი თვალსაზრისები უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო პრობლემებზე, დაგვესახა ჩვენი მეგობრობისა და თანამშრომლობის განმტკიცების შემდგომი გზები ორივე ქვეყნის ხალხთა საკეთილდღეოდ, საყოველთაო მშვიდობის განმტკიცების საკეთილდღეოდ.

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს თქვენ იყავით სამრეწველო საწარმოებში, ქალაქებსა და სოფლის რაიონებში, ჯანმრთელობის კერებში. თქვენ ნახეთ საბჭოთა ადამიანების შრომისა და დასვენების პირობები და შეგეძლოთ დარწმუნებულიყავით მეგობრობისა და სიმპათიის იმ გრძნობებში, რომლებითაც ისინი გამსჭვალული არიან თქვენი ქვეყნისა და ავღანელი ხალხისადმი.

მინდა ვისარგებლო ამ საზეიმო მიტინგით, რათა გადავცე მთელ ავღანელ ხალხს მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის მხურვალე მეგობრული სალამი **(ტაში)** და ვუსურვო წარმატებანი ავღანეთის ხალხს მის წინსვლაში პროგრესისა და თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის განმტკიცების გზით. **(ტაში).**

გაუმარჯოს მშვიდობისმოყვარე და დამოუკიდებელ ავღანეთს! **(ტაში).**

გაუმარჯოს საბჭოთა კავშირისა და ავღანეთის მეგობრობას! **(ხანგრძლივი ტაში. ყველანი ფეხზე დგებიან).**

* * *

მიტინგი დამთავრდა. საბჭოთა მთავრობის მეთაური ნ. ა. ბულგანინი და ავღანეთის პრემიერ-მინისტრი მუჰამედ დაუდი ხელს ართმევენ ერთმანეთს. დარბაზში კვლავ გაისმის ტაში საბჭოთა კავშირ-ავღანეთის მეგობრობის პატივსაცემად.

მიტინგმა ახალი დამაჯერებლობით ცხადყო ავღანეთის ხალხისადმი საბჭოთა ადამიანების გულწრფელი, გულთბილი გრძნობები, მათი მისწრაფება იცხოვრონ მშვიდობითა და მეგობრობით მსოფლიოს ყველა ხალხთან. (საკდესი).

ოქტომბრის 39-ე წლისთავის შესახვედრად



საუკეთესო შრომითი მიღწევებით ხვდება ოქტომბრის დიდებასწაულს თბილისის ავტოსარემონტო ქარხნის მექანიკური საამქროს მოწინავე ხარატი გივი ჭელიძე. იგი დგას შრომითის ვახტზე და საწარმოო დავალებას სისტემატურად 200 პროცენტით ასრულებს. **სურათზე:** ცვლის ოსტატი ა. აკატოშევი (მარცხნივ) გ. ჭელიძეს აცნობს ერთ-ერთი გამოსაჩარხავი დეტალის ნახაზს.

ფოტო შ. გოქაძისა.

* * *

მარგანეცი ნოემბრის ანგარიშში

ჭიათურა. (საკ. კორ.). ჭიათურელი მაღაროელები ახალი შრომითი წარმატებებით ეგებებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავს. 27 ოქტომბერს ჭიათურის მარგანეცის ტრესტმა შეასრულა სახალონლო პროდუქციის გამოშვების ათი თვის გეგმა.

საოქტომბრო შეჯიბრებაში დაწინაურდა ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივი, რომელიც ინარჩუნებს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს გარდამავალ წითელ დროშას. აქ ათი თვის გეგმა ვადაზე ორი კვირით ადრე გაანადგდეს. მაღაროელებს მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი 10 თვის გეგმის გადამეტებით ამოიღონ 3 მილიონი მანეთის მარგანეცი. თავდადებულად მუშაობენ იმ უბნებზე, რომლებსაც გ. გაფრინდაშვილი და ო. კობახიძე ხელმძღვანელობენ. კარგად მუშაობს ცენტრალური გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივიც.

თვალსაჩინო წარმატებები აქვთ აგრეთვე სტალინისა და დიმიტროვის სახელობის მაღაროებს. საოქტომბრო შეჯიბრების დღეებში დიმიტროვის მაღაროში აითვისეს ახალი მექანიკური კლასიფიკატორები, გაუმჯობესეს მადნის გამდიდრების ტექნოლოგია. მნიშვნელოვნად შეამცირეს დანაკარგები გამდიდრების პროცესში. გარდა ამისა, ცვლაში 80 ტონით გადიდდა მანგანუმის გამოსავალი.

15 ეშელონი ზეგეგმითი ქვანახშირისათვის

ტყიბული, 29 ოქტომბერი. (საქდესი). სტალინის სახელობის შახტის კოლექტივმა ვადამდე, 27 ოქტომბერს, შეასრულა ათი თვის გეგმა. ქვანახშირის ამოღება გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 17,6 პროცენტით გადიდდა, შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 13,3 პროცენტით.

შახტის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა დიდი ოქტომბრის 39-ე წლისთავის დღესასწაულისათვის გეგმის გადამეტებით ამოიღოს 15 ეშელონი ქვანახშირი.

მკერავთა მიღწევები

ქუთაისი. (საკ. კორ.). საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი, რომელმაც მიმდინარე წლის 9 თვის საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 104 პროცენტით შეასრულა. ამ ხნის მანძილზე მკერავებმა გეგმის გადამეტებით გამოუშვეს 2,5 მილიონი მანეთის პროდუქცია, შრომის ნაყოფიერება გაადიდეს 5 პროცენტით, ხოლო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების შედეგად დაზოგეს 1 მილიონ მანეთზე მეტი.

ამ უკანასკნელ ხანებში ბევრი რამ გაკეთდა ახალი ტექნიკის დანერგვის მხრივ. სამკერვალო საამქროში დაიდგა ნახევრადავტომატური წნეხები, რომელთა საშუალებით ხდება სამკერვალო ნაწარმის დეტალების კიდეების ჩაკეცვა-დაწნეხვა. დადგმულ იქნა აგრეთვე შარვლის ზედა ნაწილის ელექტროსაწნეხები. აღნიშნულ ღონისძიებათა შედეგად ამ ოპერაციების შესრულებისათვის საჭირო დრო 11 პროცენტით შემცირდა.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში განსაკუთრებით დაწინაურდნენ მკერავები გ. დვალაძე, ს. ლებანიძე, ჟ. გოგიბერიშვილი, ვ. სადილიანი, ჟ. კულიჩკინა და სხვები, რომლებიც დავალებებს 200-210 პროცენტით ასრულებენ.

სოხუმელ მეკონდიტრეთა ნარმაჯება

სოხუმი. (საკ. კორ.). საკონდიტრო ფაბრიკის კოლექტივმა, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩაება ბათუმელ კონდიტრებთან, ვალდებულება იკისრა წლიური გეგმა 25 დეკემბრისათვის შეასრულოს. საწარმოს კოლექტივი წარმატებით ანაღდებს ვალდებულებას. ცხრა თვის გეგმის გადამეტებით კონდიტრებმა 322 ათას მანეთზე მეტი ღირებულების პროდუქცია გამოუშვეს. ასევე კარგად იმუშავეს ოქტომბრის პირველ დეკადაში და მომხმარებლებს 3 ტონა ზეგეგმითი საკონდიტრო ნაწარმი მიაწოდეს.

საუკეთესო შრომითი მაჩვენებლები მოიპოვეს ბისკვიტისა და კარამელის ბრიგადების გამოცდილმა კონდიტრებმა ა. რატიანმა, კ. ლაბარტყავამ და ე. ვასილენკომ. ისინი ყოველდღიურ დავალებებს 150 პროცენტით ანაღდებენ.

რკინიგზის მოწინავე სადგურის კოლექტივი

ხაშური. (საკ. კორ.). რკინიგზის ხაშურის სადგურის კოლექტივი წარმატებით ანაღდებს საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრებით ნაკისრ ვალდებულებებს. სექტემბრისა და ოქტომბრის პირველი ნახევრის ვაგონების დატვირთვის დავალება 192,8 პროცენტით არის შესრულებული, ხოლო გადმოტვირთვისა — 143,6 პროცენტით. ხაშურელმა რკინიგზელებმა უზრუნველყვეს სადგურიდან 143 მძიმე წონის მატარებლის გაგზავნა და გეგმის გადამეტებით 63.515 ტონა ტვირთის გადატანა.

ექვსი დღით ადრე

ენერგიული მუშაობის შედეგად თბილისის თამბაქოს მეორე ფაბრიკის კოლექტივმა ათი თვის საწარმოო დავალება 6 დღით ადრე — 25 ოქტომბერს გაანაღდა და 30 ოქტომბრისათვის გეგმის გადაჭარბებით 55 მილიონი ცალი პაპიროსი და სიგარეტი გამოუშვა. ფაბრიკის კოლექტივი ამჟამად იმისათვის იბრძვის, რომ წლიური გეგმა 24 დეკემბერს შეასრულოს, დავალების გადაჭარბებით სამშობლოს 80 მილიონი ცალი პაპიროსი და სიგარეტი მისცეს.

დაწინაურდა პაპიროსის დამტენი საამქროს კოლექტივი, რომელსაც ი. ახალაძე ხელმძღვანელობს. საამქრო ყოველდღიურ საწარმოო დავალებას 105-107 პროცენტით ასრულებს და მხოლოდ საუკეთესო ხარისხის პროდუქციას უშვებს. კარგი მაჩვენებლები აქვთ აგრეთვე თამბაქოს დამამზადებელი და საროტაციო საამქროს კოლექტივებს.

ერთი საამქროს მუშაობის შედეგები

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის მესამე ამწყობი საამქროს კოლექტივმა წარმატებები მოიპოვა საოქტომბრო სოციალისტურ შეჯიბრებაში. საერთო პროდუქციის გამოშვების 9 თვის გეგმა საამქრომ 111 პროცენტით შეასრულა, ხოლო სასაქონლო პროდუქციისა — 110 პროცენტით, საგრძნობლად შემცირდა უნაყოფო ხარჯები, 5 პროცენტით ამაღლდა შრომის ნაყოფიერება. სექტემბრის დავალების გადამეტებით ამწყობებმა გამოუშვეს რამდენიმე სახარატო ჩარხი.

კომუნისტური პარტიის მოწოდებით აღფრთოვანებულმა ამწყობმა-ზეინკლებმა ი. ბუხრიკიძემ, მ. ხანდოლიშვილმა, მ. გორიუნოვმა, ი. მარკოვმა, რომლებიც ყოველდღიურ დავალებებს ორმაგად ანაღდებენ, ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრეს.

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა

გურჯაანის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 29 ოქტომბრისათვის 102 პროცენტით შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა. სახელმწიფოს ჩაბარდა 14.308 ტონა ყურძენი გეგმით გათვალისწინებული 14 ათასი ტონის ნაცვლად. (საქდესი).

ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა

ახმეტის რაიონის კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა 26 ოქტომბერს შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 2.500 ტონის ნაცვლად მათ სახელმწიფოს ჩააბარეს 2.576 ტონა ყურძენი. კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა ვალდებულება იკისრეს სახელმწიფოს ჩააბარონ კიდევ 400 ტონა ყურძენი. (საქდესი).

კასპის რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობამ შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა

კასპის რაიონის კოლმეურნეობებმა, კოლმეურნეებმა და საბჭოთა მეურნეობამ 28 ოქტომბერს შეასრულეს ყურძნის დამზადების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 2.180 ტონის ნაცვლად სახელმწიფოს ჩაბარდა 2.300 ტონა ყურძენი. კოლმეურნეობებმა ვალდებულება იკისრეს გეგმის გადამეტებით ჩააბარონ სახელმწიფოს 400 ტონა ყურძენი. (საქდესი).

დამთავრდა ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა აქტივის სრულიად საკავშირო თათბირი

მოსკოვში კრემლის დიდ სასახლეში მუშაობა დაამთავრა ჯანმრთელობის დაცვის მუშაკთა აქტივის სრულიად საკავშირო თათბირმა.

საბოლოო პლენარულ სხდომას 27 ოქტომბერს დაესწრნენ ამხანაგები კ. ე. ვოროშილოვი, ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. მ. შვერნიკი და პ. ნ. პოსპელოვი, რომლებსაც მხურვალე ტაშით შეხვდნენ.

ხუთი დღის განმავლობაში სხვადასხვა სამედიცინო სპეციალობის ექიმები და თვალსაჩინო მეცნიერები, ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზატორები, სახელმწიფო დაწესებულებათა წარმომადგენლები, პარტიული და საბჭოთა მუშაკები განიხილავდნენ სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრის მ. დ. კოვრიგინის მოხსენებას მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების შემდგომი გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ.

პლენარულ სხდომებსა და სექციათა სხდომებზე კამათში მონაწილეობა მიიღო 120-ზე მეტმა კაცმა. ორატორებმა ილაპარაკეს, თუ რა დიდ ყურადღებას აქცევენ კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვას, რა მიღწევები აქვთ ჯანმრთელობის დაცვასა და მედიცინის მეცნიერებას სსრ კავშირში. კამათის მონაწილეებმა გამოაშკარავეს მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ნაკლოვანებანი, შეიტანეს წინადადებანი ჯანმრთელობის დაცვის ორგანოების, სამკურნალო-პროფილაქტიკურ და სამეცნიერო დაწესებულებათა, სამედიცინო მრეწველობის საწარმოთა მუშაობის გაუმჯობესების, სამედიცინო პრეპარატებითა და მოწყობილობით მომარაგების შესახებ.

სხდომაზე გამოვიდნენ: თურქმენეთის სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **დ. ნ. ნეპესოვი,** სტალინოს ოლქის ჯანმრთელობის დაცვის საოლქო განყოფილების გამგე **ე. ა. ბაბენკო,** სრულიად რუსეთის ჰიგიენისტთა სამეცნიერო საზოგადოების თავმჯდომარე პროფესორი **ვ. ა. რიაზანოვი, ო. ლ. ტრემბა** (ალტაის მხარის სმოლენსკოეს რაიონი), სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი **ნ. ი. გრაშჩენკოვი,** მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე **დ. ვ. პოკროვსკი,** აზერბაიჯანის სსრ ჯანმრთელობის დაცვის მინისტრი **ვ. ი. ახუნდოვი,** სსრ კავშირის წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის საზოგადოებათა კავშირის აღმასკომის თავმჯდომარე პროფესორი **გ. ა. მიტერევი** და სხვები.

თათბირზე საბოლოო სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრმა **მ. დ. კოვრიგინამ.**

თათბირის მონაწილეებმა მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავშირის ჯანმრთელობის დაცვის ყველა მუშაკისადმი. (საკდესი).

რ ა მ ო გ ვ ც ა დ ი დ მ ა ო ქ ტ ო მ ბ ე რ მ ა

საუბარი ჩვენს რესპუბლიკაზე

საქართველოს სოფლის მეურნეობა აღმავლობის გზაზე

ვ. ძ ე რ ძ ა ძ ე,

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, სოფლის მეურნეობის მინისტრი.

გაჭირვება, სიმშილი და სიღატაკე — ასეთი იყო საქართველოს მშრომელი გლეხობის ხვედრი ცარიზმის დროს. რევოლუციამდე მიწის მეტი წილი მემამულეთა, ეკლესიისა და აზნაურების ხელში იყო.

საქართველოში ბატონყმობის გაუქმების შემდეგ გლეხები თითქმის უმიწოდ დარჩნენ. საკმარისია ითქვას, რომ გლეხობის წილად მოდიოდა მიწის მთელი ფართობის მხოლოდ 6,4 პროცენტი. უმიწო გლეხობა მემამულეთა მძიმე კაბალაში იმყოფებოდა. გლეხები იძულებული იყვნენ დაემუშავებინათ მემამულეთა მიწები და მიეცათ მათთვის მოსავლის ნახევარი და უფრო მეტიც. საშინელი გაჭირვება მშრომელ გლეხებს აიძულებდა დამდგარიყვნენ მოჯამაგირედ ან წასულიყვნენ სამუშაოდ საქართველოს ფარგლებს გარეთ.

არაერთხელ აზვირთებულა ქართველი ხალხის აღშფოთებისა და მრისხანების ტალღა, საქართველოს გლეხობას არაერთხელ აუფრიალებია თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ ბრძოლის დროშა, რათა მოეშორებინა ტანჯვა-ვების მძიმე უღელი. მეფის სატრაპეზი, თავადები და მემამულეები გლეხთა რევოლუციურ გამოსვლებს სისხლის მორევში ახშობდნენ.

კიდევ უფრო გაუარესდა გლეხობის მდგომარეობა ქართველი ხალხის უბოროტესი მტრების — მენშევიკების უბადრუკი ბატონობის დროს. სოფლის მეურნეობა სრულიად დაქვეითდა. მენშევიკების მთავრობის აგრარული პოლიტიკა განამტკიცებდა მემამულეებისა და კულაკების უფლებას მიწაზე. მენშევიკების აგრარულ პოლიტიკას საქართველოს გლეხები უპასუხებდნენ აჯანყებებითა და მემამულეთა მიწების დატაცებით. მენშევიკური მთავრობა სასტიკად ახშობდა გლეხების რევოლუციურ გამოსვლებს.

ქართველი ხალხის აყვავების ეპოქა 1921 წლის 25 თებერვლიდან იწყება. ოქტომბრის დიდმა სოციალისტურმა რევოლუციამ საბჭოთა კავშირის ხალხებს დაუმკვიდრა თავისუფლება და ბედნიერი ცხოვრება.

კომუნისტური პარტიის პოლიტიკის ისტორიულმა გამარჯვებებმა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის დარგში შესაძლებელი გახადა სოფლის მეურნეობის აღჭურვა პირველხარისხოვანი მძლავრი ტექნიკით.

საბჭოთა ხელისუფლებამ მიწა სამუდამო, უსასყიდლო სარგებლობაში გადასცა კოლმეურნეობებს. 1955 წლის 1 ნოემბრისათვის საქართველოს კოლმეურნეობებს უვადო სარგებლობაში გადაცემული ჰქონდათ 4.047.100 ჰექტარი მიწა.

* * *

საქართველოს მშრომელები მძლავრი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ეგებებიან დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 39-ე წლისთავს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით ყველგან, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში, კომუნისტური მშენებლობის ყველა უბანზე საბჭოთა ადამიანები ენთუზიაზმით იბრძვიან ახალ-ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად, ჩვენი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ დიად სამუშაოთა პროგრამის განსახორციელებლად.

უკვე მკაფიოდ იგრძნობა ამ დიდი საყოველთაო-სახალხო შრომის შედეგები — სოფლის მეურნეობის ყველა დარგის აღმავლობა, ფართო მოხმარების სასურსათო და სამრეწველო საქონლის გამოშვების ზრდა და მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება.

საკოლმეურნეო წყობილების ბრწყინვალე გამარჯვებამ საქართველოს გლეხობას შეძლებული და საამური ცხოვრება დაუმკვიდრა.

ჩვენს რესპუბლიკაში ამჟამად 580-ზე მეტი მილიონერი კოლმეურნეობაა. არიან ისეთი კოლმეურნეობები, რომელთა ფულადი შემოსავალი 10-15 მილიონ მანეთს და მეტსაც აღწევს. გასულ წელს ზუგდიდის რაიონის სოფელ რუხის კოლმეურნეობამ 18 მილიონი მანეთი ფულადი შემოსავალი მიიღო. ფულადი და ნატურალური შემოსავლის ზრდასთან ერთად იზრდება კოლმეურნეთა შემოსავალი. რესპუბლიკაში არიან ისეთი კოლმეურნეობები, რომლებმაც ერთ შრომადღეზე 50 მანეთზე მეტი ფული გასცეს. მაგალითად, გალის რაიონის სოფელ ქვემო ბარღების კოლმეურნეობამ „საბჭოთა ჩაი“ შარშან შრომადღეზე სამუალოდ 51 მანეთი და 76 კაპიკი გაანაწილა.

საქართველოს კოლმეურნეობებში შესამჩნევად შეიცვალა ნათესი ფართობების სტრუქტურა, მარცვლეული კულტურებისა და კერძოდ ხორბლის ნათესი ფართობების შემცირების ხარჯზე გაიზარდა ტექნიკური კულტურების, კარტოფილის, ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და საკვები კულტურების ფართობები.

საქართველოს მშრომელები საბჭოთა კავშირის სხვა ხალხებთან ერთად თავგამოდებით იბრძვიან ჩვენი დიადი ქვეყნის შემდგომი აყვავებისა და მისი ეკონომიური ძლიერების განმტკიცებისათვის. ყველგან — ფაბრიკებში, ქარხნებში, მაღაროებში, შახტებში, ტრანსპორტზე, მანქანა-ტრაქტორთა სადგურებში, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მეცხოველეობის ფერმებში გაჩაღებულია საბჭოთა ადამიანების შემოქმედებითი შრომა.

სერიოზული მიღწევებია მოპოვებული ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობის ყველა დარგის შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლაში. საბჭოთა პროგრესულ აგროტექნიკურ ღონისძიებათა დროულად და ხარისხიანად განხორციელებით და საკოლმეურნეო წარმოებაში მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების ფართოდ დანერგვით რესპუბლიკის მთელმა რიგმა მანქანა-ტრაქტორთა სადგურებმა კარგ შედეგებს მიაღწიეს და თავიანთი ზონის კოლმეურნეობებში მოსავალიც მაღალი მიიღეს.

მიმდინარე წელს, მიუხედავად დაგვიანებული და ცივი გაზაფხულისა, მარცვლეული კულტურების თესვა რაიონების უმრავლესობამ უფრო ორგანიზებულად და უკეთესად მოაწყო, ვიდრე წინა წლებში. ბევრმა კოლმეურნეობამ წელს მიიღო თავთავიანი კულტურების მაღალი მოსავალი. ვლისციხის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში (წინასწარი ცნობებით) 2.575 ჰექტარი შემოდგომის ხორბლის თვითეულ ჰექტარზე აღებული იყო 17 ცენტნერი მარცვალი, შირაქის მტს-ის — 16,4 ცენტნერი, წითლის მტს-ის — 16,3 ცენტნერი, ენისლის მტს-ის ზონის კოლმეურნეობებში კი — 16 ცენტნერი. ამავე დროს უფრო შემჭიდროებულ ვადებში და ხარისხიანად მოეწყო სიმინდის ნათესების მოვლა, გასულ წელთან შედარებით მეტი ფართობი დამუშავდა მექანიზებული წესით.

1956 წელს საფუძველი ჩაეყარა 1960 წლისათვის ჰიბრიდული თესლით თესვაზე გადასვლას. ჰიბრიდული თესლის წარმოებისათვის სპეციალურად შერჩეულ 47 კოლმეურნეობაში მოეწყო სიმინდის საჰიბრიდიზაციო ნაკვეთები, სადაც დაითესა 900 ჰექტარზე მეტი ფართობი სიმინდის სხვადასხვა მარტივი ჰიბრიდებისა და ჯიშების შესაჯვარებლად.

მიწების მორწყვა და ამოშრობა მაღალი და მყარი მოსავლის მიღების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოს სარწყავი სისტემები წვრილი არხების ქსელს წარმოადგენდნენ. ეს ქსელი მემამულეებისა და კულაკების ხელში იყო, რომლებიც სასტიკ ექსპლოატაციას უწევდნენ გლეხობას.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ფართო მასშტაბით დაიწყო გეგმიანი საირიგაციო სამუშაოები.

ვ. ი. ლენინი კავკასიის კომუნისტებისადმი წერილში 1921 წელს წერდა:

„ერთბაშად ეცადეთ გაუმჯობესოთ გლეხთა მდგომარეობა და დაიწყოთ ელექტროფიკაციის, მორწყვის დიდი სამუშაოები. მორწყვა ყველაზე მეტად საჭიროა და ყველაზე უფრო გარდაქმნის მხარეს, აღორძინებს მას, დაასამარებს წარსულს, განამტკიცებს სოციალიზმზე გადასვლას“.

დიდი ლენინის მითითების საფუძველზე საქართველოში გაჩაღდა სერიოზული მუშაობა დანგრეული არხების

მტს-ების რაოდენობა საქართველოში



აღსადგენად, ძველი არხების გადასაკეთებლად და ახალ საინჟინრო სარწყავ ნაგებობათა ასაშენებლად. საქართველოში 1956 წლის 1 იანვრისათვის სარწყავი ფართობები შეადგენდა 314.300 ჰექტარს, ხოლო დაშრობილი ფართობები — 97.235 ჰექტარს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით შეიქმნა მძლავრი სუბტროპიკული მეურნეობა.

1913 წელს საქართველოში ჩაი გაშენებული იყო მხოლოდ 894 ჰექტარზე და მისი საერთო მოსავალი 551,1 ტონას შეადგენდა.

ამჟამად საბჭოთა კავშირში საქართველო ითვლება ჩაის ძირითად მწარმოებელ რესპუბლიკად, რომელიც მოსახლეობას აწვდის ჩაის პროდუქციის 90 პროცენტზე მეტს. 1955 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 117.453 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

1913 წელს ციტრუსოვანი კულტურები გაშენებული იყო ერთეული ნარგავების სახით ბოტანიკურ ბაღებში, საცდელ სადგურებში, მემამულეთა აგარაკებზე და მათი ფართობი 160 ჰექტარს არ აღემატებოდა.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ეს კულტურები გახდნენ სახალხო მეურნეობის მსხვილ სამრეწველო დარგებად და კოლმეურნეობების ძირითად შემოსავლის წყაროდ გადაიქცნენ. მნიშვნელოვნად გაიზარდა ჩაისა და ციტრუსოვანთა კულტურების ფართობები. 1956 წლის პირველი იანვრისათვის რესპუბლიკაში ჩაის პლანტაციები ირიცხებოდა 66.100 ჰექტარი, ციტრუსოვანთა პლანტაციები კი — 15.500 ჰექტარი. ფართობების გადიდებასთან ერთად გაიზარდა ჩაის ფოთლის საერთო მოსავალი და მოსავლიანობა. 1950 წელს ჰექტარზე საშუალოდ საქართველოში მიღებული იყო 1.278 კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, 1955 წელს კი — 2.723 კილოგრამი. ჩაის მოსავლიანობის გადიდების საქმეში მაღალი მაჩვენებლები აქვთ მახარაძის, ქობულეთის, ბათუმის, ლანჩხუთის, ზუგდიდისა და ტყიბულის რაიონების კოლმეურნეობებს.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე საქართველოში ვენახები გაფანტული იყო წვრილ გლეხურ მეურნეობებში და თავმოყრილი მემამულეთა მცირე ჯგუფის ხელში. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მეურნეობის ეს დარგი დიდად განვითარდა.

გასული საუკუნის 80-იან წლებამდე მევენახეობას დიდი ადგილი ეჭირა საქართველოს მეურნეობაში. პირველი მსოფლიო ომის დროს საქართველოში ფილოქსერამ ვენახების 40 პროცენტზე მეტი გაანადგურა. 1921 წელს ვენახების ფართობი შეადგენდა მხოლოდ 29.500 ჰექტარს.

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დღიდან მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად საქართველოში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მევენახეობის განვითარებას. 1926 წლიდან იწყება ვენახების ფართობების თანდათანობით ზრდა. 1955 წელს ვენახის ფართობები საქართველოში 57.016 ჰექტარს შეადგენდა, ახლა კი არის 58.175 ჰექტარი, აქედან კოლმეურნეობებში 27.306 ჰექტარი.

ხეხილის ბაღების ფართობები (ჰექტარობით)



1913 წელს ხეხილის ბაღებს საქართველოში ეკავათ 30.795 ჰექტარი. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ 3-ჯერ და უფრო მეტად გაიზარდა ხეხილის ბაღების ფართობები. 1956 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკაში ირიცხებოდა 104.540 ჰექტარი ბაღი, აქედან კოლმეურნეობებში 35.147 ჰექტარი.

მძლავრი აღმავლობა განიცადა მეთამბაქოობამ. თუ 1922 წელს თამბაქო მოჰყავდათ 398 ჰექტარ ფართობზე, 1955 წელს მოიყვანეს 14.460 ჰექტარზე და დამზადებული იყო 14.604 ტონა თამბაქოს ნედლეული. ქართულ თამბაქოს თავისი მაღალი ხარისხით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ჩვენი ქვეყნის თამბაქოს მრეწველობაში და მასზე დიდი მოთხოვნილებაა.

ცარიზმისა და მენშევიკების ბატონობის დროს მეცხოველეობა კულაკებისა და მემამულეების გამდიდრების წყაროს წარმოადგენდა.

საკოლმეურნეო წყობილების დროს მეცხოველეობა კოლმეურნეთა კეთილდღეობის წყარო გახდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ძვრა მეცხოველეობის განვითარების საქმეში მოხდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის შემდეგ. 1955 წელს დამზადებულია ხორცი 4.860 ტონით, რძე — 24.400 ტონით, კვერცხი — 14 მილიონამდე ცალით, მატყლი — 8.117 ცენტნერით მეტი, ვიდრე 1954 წელს.

საქართველოს კოლმეურნეობებში 1955-1956 სამეურნეო წელს სამუალოდ ერთ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 852 კილოგრამი რძე, ანუ გეგმის 100,2 პროცენტი.

პარტიის XX ყრილობის დირექტივებში მეექვსე ხუთწლიანი გეგმის შესახებ ნათქვამია, რომ გადიდდეს ხორცის წარმოება უწინარეს ყოვლისა მეღორეობის, როგორც ყველაზე მალე მზარდი მეცხოველეობის დარგის, განვითარების გზით; აყვანილ იქნას ღორის ხორცის ხვედრითი წონა ჩვენს ქვეყანაში ხორცის წარმოების საერთო მოცულობის 50 პროცენტამდე, რისთვისაც გამოყენებულ იქნას ღორების სახორცედ და საბეკონედ გასუქების უპირატესობანი. საქართველოს სოფლის მშრომელთა წინაშე დასახულია საბრძოლო ამოცანა — რესპუბლიკაში მიმდინარე წლის ბოლომდე გაასუქონ 60.000 ღორი.

სახელმწიფოსათვის ღორის ხორცის ასეთი რაოდენობით ჩაბარება კოლმეურნეობებს საშუალებას მისცემს ერთი მხრივ სრულად დააკმაყოფილონ ჩვენი რესპუბლიკის მოსახლეობის მოთხოვნილება ხორცზე, ხოლო მეორე მხრივ ღორის ხორცის ჩაბარების გეგმის შესრულების შემდეგ შეცვალონ მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის 39.000 ცენტნერი ხორცის ჩაბარება, რაც დაახლოებით 20.000 სულ მსხვილფეხა რქიან პირუტყვს შეადგენს.

ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს 1956 წლის მოსავლის პურის დამზადების სახელმწიფო გეგმა. ძვირფასი სასურსათო კულტურის — ხორბლის ჩაბარების გეგმა შესრულებულია 121 პროცენტით, ჩაის დამზადებისა — 100,4 პროცენტით, ხილის დამზადებისა და შესყიდვისა — მთლიანად, გადაჭარბებით არის განაღდებული აგრეთვე მატყლის დამზადებისა და შესყიდვის წლიური გეგმა.

ვენახების ფართობები (ჰექტარობით)



სასოფლო-სამეურნეო წარმოების შრომატევად სამუშაოთა ფართო მექანიზაცია დიდი ოქტომბრის რევოლუციის მონაპოვარია.

უკვე 1929 წელს საქართველოში ჩამოყალიბდა 3 მტს-ი, 1935 წელს — 36, 1940 წელს — 60 მტს-ი. ახლა ჩვენი რესპუბლიკის საკოლმეურნეო წარმოებას მომსახურებას უწევს 101 მანქანა-ტრაქტორთა და 1 მეცხოველეობის სამანქანო სადგური, რომლებიც წარმოადგენენ სასოფლო-სამეურნეო წარმოების ინდუსტრიულ მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას. მანქანა-ტრაქტორთა სადგურები განუწყვეტლივ იარაღდებიან უახლესი სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით — მძლავრი დიზელიანი ტრაქტორებით, თვითმავალი მანქანებით, საკიდი და ნახევრადსაკიდი იარაღ-მანქანებით. 1950 წელთან შედარებით ერთიორად და მეტად გადიდდა ტრაქტორების რაოდენობა, უკანასკნელ წლებში დაინერგა სიმინდის და სილოსის ასაღები კომბაინები.

ჩვენმა კონსტრუქტორებმა უკვე შექმნეს ზოგიერთი ისეთი მანქანა, რომელიც საშუალებას მოგვცემს მექანიზებული წესით ვაწარმოოთ სასოფლო-სამეურნეო სამუშაოები მთაგორიან ადგილებშიც. მანქანა-იარაღების ასეთი სისტემის შექმნა მნიშვნელოვნად გაადიდებს მთებში განლაგებული საოფლო-სამეურნეო საკარგულების გამოსავლიანობას, აამაღლებს კულტურების მოსავლიანობას, განამტკიცებს მთის ზონის კოლმეურნეობათა ეკონომიკას და კიდევ უფრო გააუმჯობესებს კოლმეურნეთა მატერიალურ კეთილდღეობას.

მანქანა-ტრაქტორთა სადგურების დახმარებით ბევრ კოლმეურნეობაში განხორციელდა მეცხოველეობის ფერმების მექანიზაცია. უკვე დანერგილია წყლის მომარაგების, ცხოველთა რწყურლების, უხეში, კონცენტრირებული და წვნიანი საკვების მომზადების, ძროხების წველის მანქანა-იარაღები. საზოგადოებრივი ცხვრის თითქმის 60 პროცენტის პარსვა ხდება ელექტრომექანიკური საპარსავებით.

საკოლმეურნეო წყობილების მნიშვნელოვანი მონაპოვარია სოფლის ელექტროფიკაცია. ამას ხელს უწყობს საქართველოს ბუნებრივი პირობები (მრავალი სწრაფი მდინარე). ახლა სა-

ციტრუსოვანთა ნარგავების ფართობები (ჰექტარობით)



ქართველოშია 161 საკოლმეურნეო და საკოლმეურნეობათაშორისო ჰიდროელექტროსადგური 11.849 კილოვატი სიმძლავრისა, 1.568 სამოხმარებლო ქვესადგური 71.250 კილოვატი სიმძლავრისა, 34 სასოფლო სახელმწიფო ჰიდროელექტროსადგური, რომელთა საერთო სიმძლავრე 20.316 კილოვატს უდრის. ელექტროენერგია ფართოდ ინერგება სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში და კოლმეურნეთა ყოფაცხოვრებაში.

საქართველოს სოფლის მეურნეობის მიღწევები გაცილებით უფრო დიდი იქნებოდა, ხალხის დაუძინებელ მტერს, იმპერიალიზმის აგენტს ბერიას და მის დამქაშებს დიდი ზიანი რომ არ მიეყენებინათ ქართველი ხალხისათვის, საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის. ხანგრძლივი დროის განმავლობაში ახორციელებდა რა რესპუბლიკის ხელმძღვანელობას, ხალხის უბოროტესი მტერი ბერია არსებითად ატარებდა ანტისაკოლმეურნეო პოლიტიკას, აქეზებდა კერძომესაკუთრულ ტენდენციებს საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების საზიანოდ, მისი მოქმედების შედეგად საქართველოს ზოგი რაიონი პრივილეგიურ მდგომარეობაში აღმოჩნდა, მაშინ როცა სხვა, კერძოდ, მთიანი რაიონები აღმოჩნდნენ ძალიან მძიმე ეკონომიურ მდგომარეობაში, რომელიც დღემდე კიდევ არ არის დაძლეული. საქართველოს პარტიული ორგანიზაცია ახლა ასწორებს ბერიევშჩინის მავნე შედეგებს.

კიდევ უფრო დიდად გაიზრდება და განვითარდება ჩვენი რესპუბლიკის სოციალისტური სოფლის მეურნეობა მეექვსე ხუთწლედში.

პარტიის XX ყრილობის დირექტივები მეექვსე ხუთწლედის შესახებ ითვალისწინებს სოფლის მეურნეობის დარგში მებაღეობის, მევენახეობის, მეაბრეშუმეობის, ჩაის, თამბაქოსა და ციტრუსოვანთა ნაყოფის წარმოების შემდგომ განვითარებას.

1960 წლისათვის მთლიანად რესპუბლიკაში მარცვლეულის საერთო მოსავალი აყვანილ უნდა იქნას 62 მილიონ ფუთამდე. ამისათვის საჭიროა გავზარდოთ ყველა მარცვლეული კულტურის მოსავლიანობა, ავიყვანოთ სიმინდის ფართობები კოლმეურნეობებში 280 ათას ჰექტარამდე და გავადიდოთ მისი საშუალო მოსავლიანობა ჰექტარზე 23 ცენტნერამდე.

ჩაის მწვანე ფოთლის დამზადება (ტონობით)



მეექვსე ხუთწლედში დასახულია ხარისხოვანი ჩაის ფოთლის წარმოება 1960 წელს აყვანილ იქნას 165 ათას ტონამდე; კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში გაშენდეს 17.000 ჰექტარი ხეხილის ბაღები, 23.000 ჰექტარი ვენახები, 6.000 ჰექტარი ციტრუსოვანთა ნარგავები. ამრიგად, 1960 წელს ციტრუსოვანთა კულტურებს ექნებათ 21.500 ჰექტარი, ვენახებს — 80.000 ჰექტარი, ხეხილის ბაღებს — 121.640 ჰექტარი.

1960 წელს 1955 წელთან შედარებით ხორცის წარმოება გადიდდება დაახლოებით 1,7-ჯერ, რძისა — 2-ჯერ, მატყლისა — 1,4-ჯერ, აბრეშუმის პარკისა — 1,3-ჯერ.

განხორციელდება სარწყავი ქსელის მშენებლობა 40 ათას ჰექტარ ფართობზე და ამოსაშრობი ქსელისა 10 ათას ჰექტარ ფართობზე. დამთავრდება ზემო სამგორის სარწყავი სისტემის მშენებლობა.

სოფლის მეურნეობის დარგში მიღწეულმა წარმატებებმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა წარმოშვას თვითდამშვიდებისა და უდარდელობის განწყობილება. ეს მიღწევები გვიჩვენებენ უდიდეს შესაძლებლობებსა და რეზერვებს, რომლებიც აქვთ საქართველოს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. ეს წარმატებები მოწმობენ იმ დიდ ორგანიზატორულ მუშაობას, რომელიც კომუნისტურმა პარტიამ გასწია სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში. ახლა კოლმეურნეობების, მტს-ების, საბჭოთა მეურნეობების, საკოლმეურნეო სოფლის ყველა მშრომელის გადაუდებელი ამოცანაა წარმატებით დაამთავრონ სასოფლო-სამეურნეო წელი და მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ მომავალი წლის ბარაქიან მოსავალს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის საოქტომბრო მოწოდებებში ნათქვამია:

კოლმეურნეებო, მტს-ებისა და საბჭოთა მეურნეობების მუშაკებო, სოფლის მეურნეობის სპეციალისტებო! უფრო ფართოდ გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა ვადამდე შესრულებისათვის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების ყველა დარგის მკვეთრი აღმავლობისათვის!

მივცეთ მეტი მარცვლეული, ხორცი, რძე, მატყლი და სხვა პროდუქტები მოსახლეობას და ნედლეული მრეწველობას!

საქართველოს საბჭოთა სოფლის მშრომელები კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით კიდევ უფრო მაღლა ასწევენ სოციალისტური შეჯიბრების დროშას, გამოასწორებენ ნაკლოვანებებს და პარტიის XX ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით აღფრთოვანებულნი სერიოზულ წვლილს შეიტანენ ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის პროდუქტებისა და ნედლეულის სიუხვის შექმნის საბრძოლო ამოცანის განხორციელების საქმეში.

გორის რაიონის სოფელ ქვეშის კოლმეურნეობა „წითელი ქართლის“ პარტბიუროს მდივანი ა. ცოხნიაშვილი (წინა პლანზე მარცხნიდან) და გამგეობის თავმჯდომარე ნ. ხუბულაშვილი სინჯავენ სახელმწიფოსათვის ჩასაბარებელი ვაშლის ხარისხს.

ფოტო გ. ვახტანგაძისა.

დეკლარაცია იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და რუმინეთის მუშათა პარტიის ურთიერთობის შესახებ

ბელგრადი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს პრესაში გამოქვეყნდა დეკლარაცია იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და რუმინეთის მუშათა პარტიის ურთიერთობის შესახებ. დეკლარაციას ხელი მოაწერეს 27 ოქტომბერს კუნძულ ბრიონზე იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალურმა მდივანმა ი. ბროზ ტიტომ და რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. გეორგიუ-დეჟმა.

დეკლარაციაში ნათქვამია, რომ 27 ოქტომბერს კუნძულ ბრიონზე წარმოებდა რუმინეთის მუშათა პარტიისა და იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის დელეგაციების მოლაპარაკება ორ პარტიას შორის კავშირის გაფართოების, გამოცდილების გაზიარების, კონტაქტებისა და თანამშრომლობის განვითარების მიზნით.

იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის დელეგაციაში შედიოდნენ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის გენერალური მდივანი ი. ბროზ ტიტო, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის აღმასრულებელი კომიტეტის წევრები ე. კარდელი, მ. პიადე, ს. ვუკმანოვიჩი, ი. გომნიაკი, იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირის ცენტრალური კომიტეტის წევრები კ. პოპოვიჩი და მ. ტოდოროვიჩი.

რუმინეთის მუშათა პარტიის დელეგაციაში შედიოდნენ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი გ. გეორგიუ-დეჟი, პოლიტბიუროს წევრები კივუ სტოიკა და პეტრე ბორილა, პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ლეონტე რეუტუ, რუმინეთის მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ალექსანდრუ ბირლედიანუ და გრიგორე პეროტიასა.

დეკლარაციაში ნათქვამია, რომ ორი ქვეყნის ურთიერთობის საერთო განვითარებამ, განსაკუთრებით უკანასკნელ წელს, კონტაქტებმა ორ პარტიასა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის სხვა პოლიტიკურ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის ხელსაყრელი პირობები შექმნეს იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და რუმინეთის მუშათა პარტიის შემდგომი თანამშრომლობისათვის.

დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ იუგოსლავიის კომუნისტთა კავშირისა და რუმინეთის მუშათა პარტიის ურთიერთობის განვითარება და თანამშრომლობის გაფართოება საჭიროა ორივე ქვეყნის ხალხთა და მთავრობათა მეგობრული ურთიერთობის შემდგომი განმტკიცებისათვის. ასეთი თანამშრომლობა შეესაბამება საერთაშორისო მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის განვითარების ინტერესებს.

დეკლარაციაში შემდეგ ნათქვამია, რომ ორივე პარტიის ურთიერთობა უნდა განვითარდეს სრული ნდობის, გულახდილობისა და თანასწორუფლებიანობის ბაზაზე. ეს თანამშრომლობა, ნათქვამია დეკლარაციაში, განვითარდება პირადი კონტაქტების, ინფორმაციის, პარტიული ყრილობებისა და პლენუმების გადაწყვეტილებათა გაცვლის საშუალებით, აგრეთვე პარტიული მუშაობის გამოცდილებისა და საერთაშორისო მუშათა მოძრაობის პრობლემებსა და მშვიდობის შენარჩუნებისა და განმტკიცების საკითხებზე აზრთა გაზიარების გზით. ორივე მხარე შეთანხმდა მოაწყონ პარტიული დელეგაციების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, პროფკავშირული, ახალგაზრდათა და ქალთა დელეგაციების, მუშათა დელეგაციების გაცვლა, განავითარონ ორივე პარტიას შორის ამხანაგური კონტაქტების სხვა ფორმები.

დეკლარაციაში ხაზგასმით აღნიშნულია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ორივე ქვეყანაში სოციალიზმის მშენებლობის გამოცდილების ურთიერთ გაცნობასა და გაზიარებას და ამ გამოცდილების შემოქმედებითად გამოყენებას თვითეული ქვეყნის სპეციფიკური პირობების შესაბამისად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსთაველი. (საკ. კორ.). კვირას მეტალურგთა ქალაქის ცენტრალურ მოედანთან გაიხსნა „საქწიგნის“ ახალი მაღაზია, რომლის ფართობი 200-მდე კვადრატულ მეტრს აღწევს. მაღაზიას აქვს ქართული, რუსული ლიტერატურისა და სასკოლო-საკანცელარიო ნივთების სექციები 11 განყოფილებით.

მინით დახურულ ლამაზად გაფორმებულ თარეოებზე ცალცალკეა გამოფენილი პოლიტიკური, მხატვრული, ტექნიკური, სამედიცინო და სხვა ლიტერატურა. მხატვრული ლიტერატურას ხელცია თავის მხრივ შეიცავს სამავშვო, მეთოდური, უცხოურიდან ნათარგმნი ლიტერატურის, კლასიკოსთა ნაწარმოებების, პროზისა და პოეზიის განყოფილებებს.

ტექნიკური ლიტერატურის განყოფილებაში მრავალი ახალი საინტერესო წიგნია, მათ შორის „მარტენის ღუმელების რემონტთა წარმოების ორგანიზაცია“, „სქელი და საშუალო ფურცლოვანი ფოლადის ცხელი გაგლინვა“, „ზუსტი დეტალების წნევით დამუშავება“ და სხვ.

პირველ დღეს მაღაზიაში გამოტანილი იყო 3.000-ზე მეტი სახელწოდების ნახევარი მილიონი ღირებულების ლიტერატურა.

* * *

სურათზე: ახალი მაღაზიის ქართული წიგნის სექციის გამგე ქეთო ნანეიშვილი (მარჯვნივ) წიგნებს ურჩევს მომხმარებლებს.

ფოტო გ. გოგოხიასი.

ეროვნული საბჭოს ოფიციალური სახალხო რესპუბლიკის და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების დამთავრების შესახებ

ბელგრადი, 28 ოქტომბერი. (საკდესი). ბელგრადის დღევანდელი გაზეთები აქვეყნებენ ერთობლივი კომუნიკეს ტექსტს რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მოლაპარაკების დამთავრების შესახებ, რომელსაც ხელი მოაწერეს 1956 წლის 27 ოქტომბერს კუნძულ ბრიონზე.

კომუნიკეში ნათქვამია, რომ რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის მოწვევით იუგოსლავიაში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებოდა 1956 წლის 20-დან 29 ოქტომბრამდე. ორი ქვეყნის მთავრობათა დელეგაციები მოლაპარაკებას აწარმოებდნენ საკითხებზე, რომლებიც შეეხება რუმინეთის სახალხო რესპუბლიკისა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის თანამშრომლობისა და მეგობრობის ურთიერთობის განვითარებას.

ორი მთავრობის წარმომადგენლებმა აგრეთვე გაუზიარეს აზრები ერთმანეთს საერთაშორისო მდგომარეობის აქტუალურ საკითხებზე.

მოლაპარაკება, აღნიშნულია კომუნიკეში, მიმდინარეობდა გულითადობის, გულახდილობისა და ურთიერთგაგების ატმოსფეროში.

ორივე მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ საერთაშორისო ურთიერთობის განვითარებამ განვლილ თვეებში დაადასტურა პრინციპები და შეხედულებები, რომლებსაც შეიცავს ორივე მთავრობის ერთობლივი განცხადება, რასაც ხელი მოაწერეს ბუქარესტში 1956 წლის 26 ივნისს. ორივე მთავრობა კვლავაც იხელმძღვანელებს ამ პრინციპებით და შეხედულებებით როგორც თავიანთი ურთიერთობის განვითარებაში, ისე ერთობლივ ღონისძიებებში, რომელთა მიზანია მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცება და სრული საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება.

ორივე მთავრობა კმაყოფილებით აღნიშნავს, რომ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკისა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის ურთიერთობის განვითარებამ, რაც დღემდე მიმდინარეობდა მეგობრობის სულისკვეთებით, სუვერენიტეტის, ტერიტორიული ხელშეუხებლობის, თანასწორუფლებიანობის, ურთიერთ პატივისცემისა და საშინაო საქმეებში ჩაურევლობის პრინციპების საფუძველზე, ორი სოციალისტური ქვეყნის კარგი ურთიერთობის გაფართოების მტკიცე საფუძველი შექმნა.

ორი მთავრობა გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ იგივე პრინციპები უნდა მოქმედებდნენ საერთაშორისო ურთიერთობაშიც.

ორივე მთავრობა განსაკუთრებით უსვამს ხაზს, რომ ყველა ღია საერთაშორისო პრობლემა უნდა გადაიჭრას მხოლოდ და მხოლოდ მშვიდობიანი გზით, მოლაპარაკების დახმარებით და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების პრინციპების შესაბამისად.

კომუნიკეში ხაზგასმით აღნიშნულია ორივე მთავრობის რწმენა, რომ საჭიროა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მომავალ სესიაზე გადაიტრას დიდი საერთაშორისო საკითხები და პირველ რიგში გადაიტრას გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენლობის კანონიერ უფლებათა აღიარების საკითხი, განიარაღების და ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვის საკითხები.

ორივე მთავრობა კმაყოფილებას გამოთქვამს ეკონომიური თანამშრომლობის დარგში ორივე ქვეყნის ურთიერთობის განვითარების გამო, რის შედეგად ხელმოწერილ იქნა სავაჭრო და საგადასახდელო შეთანხმება, ოქმი 1957-60 წლებში საქონლგაცვლის შესახებ, აგრეთვე შეთანხმება სამეცნიერო-ტექნიკური თანამშრომლობის შესახებ. ორივე მთავრობა გამოთქვამს მზადყოფნას — მიიღოს ღონისძიებანი, რათა ხელმოწერილ შეთანხმებათა შესრულების მსვლელობაში გადაჭარბებულ იქნას საქონელბრუნვის გათვალისწინებული მოცულობა. კომუნიკეში ნათქვამია, რომ ორივე მთავრობის დელეგაციებმა განიხილეს დუნაზე ჰიდროენერგიის წყაროების გამოყენების საკითხზე იუგოსლავია და რუმინელი სპეციალისტების მუშაობის შედეგები და გადაწყვეტეს შექმნან იუგოსლავია-რუმინეთის შერეული კომისია სამუშაოთა კოორდინაციისა და ხელმძღვანელობისათვის.

ორივე მთავრობამ კმაყოფილებით აღნიშნა, რომ განვლილ პერიოდში მოხდა კონტაქტებისა და გამოცდილების გაზიარების გაფართოება მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების დარგში. ორივე მთავრობა გამოთქვამს მტკიცე რწმენას, რომ კულტურული თანამშრომლობის შესახებ ხელმოწერილი კონვენცია შემდგომი სტიმული იქნება ამ მიმართულებით.

დასასრულ კომუნიკეში ნათქვამია, რომ ორივე მთავრობა შეთანხმდა მომავალშიც კონსტრუქციულად ითანამშრომლონ ყველა იმ საკითხის განხილვისას, რომელთა გადაჭრა ხელს შეუწყობს ურთიერთობის შემდგომ გაღრმავებასა და გაფართოებას. მათ აგრეთვე გამოთქვეს თავიანთი მისწრაფება მომავალშიც მიიღონ ღონისძიებანი იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკასა და რუმინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის მეგობრული თანამშრომლობის შემდგომი განმტკიცებისათვის, ორივე ხალხის, მშვიდობისა და სოციალიზმის ინტერესებისათვის.

მდგომარეობა უნგრეთში

ბუდაპეშტი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). ბუდაპეშტი ნორმალურ ცხოვრებას უბრუნდება. ცხოვრება ბუდაპეშტში თანდათანობით დგება ნორმალურ კალაპოტში. დღეს წინანდელი ფორმატით და ჩვეულებრივი მოცულობით გამოვიდა გაზეთი „საბად ნეპი“. მეტ წილ სამრეწველო საწარმოებში მუშაობა განახლდა. გაიხსნა ბევრი სასურსათო მაღაზია. საზოგადოებრივი მომარაგების მთავრობის კომისია ბუდაპეშტში გზავნის საჭირო რაოდენობით პურს, ხორცს, ცხიმეულს. საზოგადოებრივი ტრანსპორტი ჯერ კიდევ არ მუშაობს, მაგრამ შემკეთებელ მუშათა ბრიგადები უკვე წმენდენ ტრამვაის ლიანდაგებს და აკეთებენ დაზიანებულ ელექტროქსელს, წესრიგზე მოჰყავთ მოძრავი შემადგენლობა.

ბუდაპეშტის რადიოს მტკიცებით, პროვინციაშიც ხდება სიმშვიდისა და წესრიგის აღდგენა. უნგრელი მშრომელები კმაყოფილებით შეხვდნენ უნგრეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის იმრე ნადის მიერ გუშინ მთავრობის სახელით გაკეთებულ და უნგრეთის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიერ მოწონებულ განცხადებას, რომელშიც ჩამოყალიბებულია მთავრობის საქმიანობის პროგრამა უახლოესი პერიოდისათვის. სამრეწველო საწარმოებში შექმნილი მუშათა საბჭოები აცხადებენ, რომ ისინი იმრე ნადის უნგრეთის ეროვნულ მთავრობასთან ერთად იბრძოლებენ სოციალიზმის მშენებლობის დასახული პროგრამის შესრულებისათვის.

სრულიად უნგრეთის პროფკავშირთა საბჭომ მიმართა მინისტრთა საბჭოს წინადადებით, რომ იმ მუშებს, რომლებიც შფოთიან დღეებში იცავდნენ თავიანთ ფაბრიკებსა და ქარხნებს, ხელფასი მიეცეთ ორმაგად იმ საათებისათვის, რაც მათ გაატარეს მუშაობაში ან საწარმოთა დაცვაში.

სრულიად უნგრეთის პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა გამოქვეყნა განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ იგი სავსებით ეთანხმება პროგრამას, რომელიც ჩამოაყალიბა მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ იმრე ნადმა მისი მთავრობის სახელით. „ჩვენ კმაყოფილებით მოვისმინეთ, — ნათქვამია განცხადებაში, — რომ მთავრობას მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი შეასრულოს დიდმნიშვნელოვანი მოთხოვნები, რომლებიც პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმმა უკანასკნელ თვეებსა და დღეებში წამოაყენა.

პროფკავშირთა საბჭოს პრეზიდიუმი მოუწოდებს პროფკავშირებში ორგანიზებულ მუშებს ყოველი ღონე იხმარონ წესრიგის სრული აღდგენისათვის, ცხოვრების ნორმალიზაციისათვის, ცხოვრების გაუმჯობესების ღონისძიებათა განხორციელებისათვის“.

ბუდაპეშტი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). დღეს გაზეთმა „საბად ნეპმა“ გამოაქვეყნა სამამულო სახალხო ფრონტის მოწოდება სოფლის მშრომელი ხალხისადმი, რომელშიც ნათქვამია:

„მშრომელო გლეხობავ! დედაქალაქს ესაჭიროება სურსათი. ბუდაპეშტის ბავშვებს, დედებს, საავადმყოფოებს, ბუდაპეშტის ხალხს ესაჭიროება პური, რძე, ბოსტნეული, კარტოფილი. ხალხის სურვილის შესაბამისად ახალი ეროვნული მთავრობა, ხალხზე დაყრდნობით, ქმედითად შეუდგა უნგრეთის პრობლემების გადაჭრას. აღმოვუჩინოთ ნდობა ჩვენს მთავრობას მისი პროგრამის განხორციელებაში. მიეცით დედაქალაქს რაც შეიძლება მალე პური, რძე, ბოსტნეული, კარტოფილი!“

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს სხდომა

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭო 28 ოქტომბერს 16 საათსა და 15 წუთზე ნიუ-იორკის დროით (29 ოქტომბრის 0 საათსა და 15 წუთზე მოსკოვის დროით) შეიკრიბა იმისათვის, რომ განიხილოს შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის მოთხოვნა უშიშროების საბჭოს დღის წესრიგში იმ პუნქტის შეტანის შესახებ, რომელს სათაურია „სიტუაცია უნგრეთში“.

უშიშროების საბჭოს სხდომის დაწყების წინ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კომშა სთხოვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურ მდივანს გაეგზავნა ელინა უშიშროების საბჭოს წევრებს შორის უნგრეთის მთავრობის განცხადება იმის შესახებ, რომ უნგრეთის საშინაო ამბებს, რომლებიც ამ უკანასკნელ რამდენიმე დღეს ხდება, არავითარი დამოკიდებულება არა აქვს საერთაშორისო მშვიდობასა და უშიშროებასთან და კატეგორიული პროტესტი განაცხადა იმის წინააღმდეგ, რომ უშიშროების საბჭომ განიხილოს უნგრეთის საშინაო საქმეები.

მას შემდეგ, რაც უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ საფრანგეთის წარმომადგენელმა კორნიუ-ჟანტიმ სხდომა გახსნა, სსრ კავშირის წარმომადგენელმა სობოლევმა სიტყვა აიღო დღის წესრიგის გამო და თქვა, რომ საჭიროა აღინიშნოს, რომ უშიშროების საბჭოს დღევანდელი სხდომა მოწვეულია უშიშროების საბჭოს არსებული ტრადიციების დარღვევით. უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ სხდომის დრო ისე დანიშნა, რომ არ მოუთათბირა საბჭოს მთელ რიგ წევრებს, მათ შორის საბჭოთა კავშირს. ასეთი უყურადღებობა საბჭოს ზოგიერთი წევრისადმი შეუწყნარებელია. გარდა ამისა, საბჭოს სხდომის სასწრაფოდ მოწვევა უნგრეთის საკითხზე გამართლებული არ არის გარემოებით.

კორნიუ-ჟანტი ცდილობდა გაემართლებინა თავისი მოქმედება და ამტკიცებდა, რომ მან სხდომა დანიშნა კვირისათვის, რადგან უშიშრების საბჭოს რამდენიმე წევრმა მოითხოვა სასწრაფო სხდომა.

თავის პასუხში სობოლევმა კვლავ აღნიშნა, რომ სხდომის მოწვევა ასეთი წესით ეწინააღმდეგება უშიშროების საბჭოს ტრადიციულ პროცედურას.

ნიუ-იორკი, 29 ოქტომბერი. (საკდესი). ა. ა. სობოლევის განცხადების შემდეგ საფრანგეთის წარმომადგენელმა, რომელიც საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა, სცადა სრულიად განუხილველად კენჭისსაყრელად დაეყენებინა საკითხი იმის შესახებ, რომ საბჭოს დღის წესრიგში შეიტანონ პუნქტი „სიტუაცია უნგრეთში“.

სსრ კავშირის წარმომადგენელმა ა. ა. სობოლევმა გაილაშქრა ამ საკითხის შეტანის წინააღმდეგ, რომელიც ამერიკის შეერთებულმა შტატებმა, ინგლისმა და საფრანგეთმა წარადგინეს. მან აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტი „არავითარ შემთხვევაში არ აძლევს უფლებას გაერთიანებული ერების ორგანიზაციას ჩაერიოს საქმეებში, რომლებიც არსებითად შეადგენენ ყოველი სახელმწიფოს საშინაო კომპეტენციას“.

საბჭოთა წარმომადგენელმა დამსწრეთ მოაგონა, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ თავის ამა წლის 28 ოქტომბრის განცხადებაში ნათლად აღნიშნა, რომ იგი „კატეგორიულ პროტესტს აცხადებს დღის წესრიგში რაიმე საკითხის შეტანის წინააღმდეგ, რომელიც ეხება უნგრეთის საშინაო საქმეებს“, რადგან, როგორც ნათქვამია ამ განცხადებაში „ასეთი საკითხების განხილვა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნიშნავს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის სუვერენიტეტის სერიოზულ შელახვას და აშკარად ეწინააღმდეგება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდებაში ჩამოყალიბებულ პრინციპებს“.

სსრ კავშირის დელეგაცია, თქვა სობოლევმა, ხმას მისცემს იმ წინადადების წინააღმდეგ, რომ დღის წესრიგში შეიტანონ დასავლეთის სამი სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილი საკითხი.

იუგოსლავიის წარმომადგენელმა ბრილეიმ განაცხადა, რომ უნგრეთის საკითხის დაყენებას უშიშროების საბჭოში შეუძლია მხოლოდ გაართულოს მდგომარეობა უნგრეთისა და მთელ მსოფლიოში. არ უნდა შევუქმნათ უნგრეთის მთავრობას სიძნელენი წესრიგის აღდგენაში, თქვა მან.

ბრილეიმ განაცხადა, რომ, რამდენადაც იუგოსლავია „პრინციპულად ილაშქრებს უცხოეთის ჯარების ყოფნის წინააღმდეგ“, იგი თავს შეიკავებს იმ საკითხისათვის კენჭისყრისას, რომ დღის წესრიგში შეიტანონ პუნქტი „სიტუაცია უნგრეთში“.

შემდეგ ხმის უმრავლესობით სამი ქვეყნის მიერ წარმოდგენილი საკითხი შეიტანეს დღის წესრიგში. სსრ კავშირის წარმომადგენელმა ხმა მისცა ამ გადაწყვეტილების წინააღმდეგ. იუგოსლავიის წარმომადგენელმა თავი შეიკავა.

საბჭოს წევრთა უმრავლესობამ უარყო აგრეთვე საბჭოთა წარმომადგენლის წინადადება გადადოთ განხილვა 3-4 დღით, რათა საბჭოს წევრებმა შეძლონ საჭირო ინფორმაციის მიღება და მისი გაცნობა.

სხდომის ბოლოს სიტყვა აიღო უნგრეთის წარმომადგენელმა პეტერ კოშმა, რომელიც მიწვეულია უშიშროების საბჭოს სხდომაში მონაწილეობის მისაღებად. მან სინანული გამოთქვა, რომ უშიშროების საბჭომ განსახილველად დაიყენა უნგრეთის საშინაო საკითხი, და განაცხადა, რომ მისი დამოკიდებულება ამ საკითხისადმი ჩამოყალიბებულია მის წერილში, რომელიც გავრცელდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის დოკუმენტის სახით.

21 საათსა და 50 წუთზე ნიუ-იორკის დროით (29 ოქტომბრის 5 საათსა და 50 წუთზე მოსკოვის დროით) თავმჯდომარემ დახურა უშიშროების საბჭოს სხდომა და გამოაცხადა, რომ შემდეგი სხდომა მოწვეულ იქნება საბჭოს წევრებთან კონსულტაციების შემდეგ.

ისრაელის ჯარები ეგვიპტეში შეიჭრნენ

ტელ-ავივი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). აქ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ გუშინ საღამოს ისრაელის ჯარებმა გადალახეს ეგვიპტე-ისრაელის დაზავების ხაზი და დაიწყეს შეტევა სინაის ნახევარკუნძულზე.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ „ისრაელმა განახორციელა ღონისძიებანი, რათა აღმოეფხვრა ეგვიპტელ მოხალისეთა რაზმების ბაზა სინაის ნახევარკუნძულზე“.

ისრაელის საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლის განცხადება, როგორც ჩანს, მიზნად ისახავს გაამართლოს ისრაელის არმიის შესვლა ეგვიპტის ტერიტორიაზე.

ტელ-ავივი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). ისრაელის არმიის ძირითადი დარტყმა, როგორც იუწყებიან, მიმართულია ეგვიპტის ქალაქ სუეცის წინააღმდეგ.

უკანასკნელი ცნობებით, მთავარი დარტყმის მიმართულებით ისრაელის ჯარებმა წაიწიეს 80 კილომეტრზე ეგვიპტის ტერიტორიის შიგნით. როგორც ამტკიცებენ, დაკავებულია პუნქტები ელ-კუნტილა და ნეხლი.

კაირო, 30 ოქტომბერი. (საკდესი). ეგვიპტის შეიარაღებული ძალების მთავარსარდლობის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ ისრაელის ჯარებმა ეგვიპტის ტერიტორიის შიგნით წინ წაიწიეს ელ-კუნტილის რაიონში (სინაის ნახევარკუნძული).

წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ელ-კუნტილა უდაბური რაიონია, სადაც არ არის სასაზღვრო საგუშაგოები.

ღამის პირველ საათამდე ეგვიპტისა და ისრაელის შეიარაღებული ძალები ერთმანეთს არ შეხვედრიან.

ტელ-ავივი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ედიოტ ახრონოტი“ წერს, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო ისრაელში ამზადებს ისრაელიდან ყველა ამერიკელი მოქალაქის ევაკუაციას, რომელსაც არ უკავია „სასიცოცხლო მნიშვნელობის“ პოსტი „შუა აღმოსავლეთში დაძაბულობასთან“ დაკავშირებით.

ნიუ-იორკი, 30 ოქტომბერი. (საკდესი). უშიშროების საბჭოს თავმჯდომარემ კორნიუ-ჟანტიმ მოიწვია უშიშროების საბჭოს სხდომა 30 ოქტომბერს 11.00 საათისათვის ნიუ-იორკის დროით (19 საათი მოსკოვის დროით) ისრაელ-ეგვიპტის სიტუაციის განსახილველად.

«საქწიგნის» ახალი მაღაზია მეტალურგების ქალაქში

ალიოხინის ხსოვნის ტურნირი

ა. ალიოხინის ხსოვნის აღსანიშნავი ტურნირი დასასრულს უახლოვდება.

მეთორმეტე ტურში ბოტვინიკის და გლიგორიჩის პარტია ყაიმით დამთავრდა. ასეთივე შედეგით დამთავრდა უნციკერ-სმისლოვისა და პადვესკი-პახმანის პარტიები. ბრონშტეინმა მოუგო საბოს, შტალბერგმა — ულმანს, კერესმა — სლივას. ტაიმანოვ-გოლომბეკისა და ნაიდორფ-ჩოკილტიას პარტიები გადაიდო.

შტალბერგი პარტიის განუახლებლად დანებდა ბოტვინიკს მე-11 ტურში გადადებულ პარტიაში.

გადადებული პარტიების დამთავრების დღეს ბოტვინიკმა მოუგო სლივას, უნციკერმა და ტაიმანოვმა — გოლომბეკს, ნაიდორფმა — ჩოკილტიას. ულმან-სლივას პარტია ყაიმით დამთავრდა. თამაშის განუახლებლად სლივა დანებდა შტალბერგსა და გლიგორიჩს. ჩოკილტია-პადვესკი ყაიმზე შეთანხმდნენ.

თორმეტი ტურის შემდეგ პირველ ადგილზეა ბოტვინიკი, რომელსაც 9 ქულა აქვს. სმისლოვსა და ტაიმანოვს რვანახევარ-რვანახევარი ქულა აქვთ, ბრონშტეინს — 8 ქულა, გლიგორიჩსა და ნაიდორფს — შვიდნახევარ-შვიდნახევარი ქულა.

საკავშირო ჩემპიონატი ჭიდაობა სამგოზეი

ლენინგრადში რამდენიმე დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის პირად-გუნდური პირველობის გათამაშება ჭიდაობა სამბოში. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სასპორტო საზოგადოებებისა და არმიის ნაკრებმა გუნდებმა 160-მდე სპორტსმენის შემადგენლობით.

პირველობის გათამაშება მიმდინარეობდა ახალი წესებით. საქართველოდან ჩემპიონატში იბრძოდა 40-მდე მოჭიდავე.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვა „ბურევესტნიკის“ მოჭიდავეთა კოლექტივმა. მეორე ადგილი დაიკავა „დინამოს“ გუნდმა, მესამე — საბჭოთა არმიის გუნდმა.

ჩემპიონატში საქართველოს მოჭიდავეებმა წონითი კატეგორიების მიხედვით რამდენიმე საპრიზო ადგილი მოიპოვეს. ელერდაშვილი (ქვემსუბუქი წონა) და გაბარაევი (მსუბუქი წონა) სსრ კავშირის ჩემპიონები გახდნენ, ხუთმა მოჭიდავემ სპორტის ოსტატის წოდება მოიპოვა.

მატჩი კუიბიშევში

კუიბიშევი. 29 ოქტომბერი. გუშინ აქ გაიმართა „ბ“ კლასის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი მატჩი. მეორე ზონის ერთ-ერთ ლიდერი — კუიბიშევის „კრილია სოვეტოვი“ შეხვდა დონის როსტოვის „ტორპედოს“. გიმარჯვეს კუიბიშეველებმა ანგარიშით 2:1.

ახლა კუიბიშევის „კრილია სოვეტოვისა“ და თბილისის ოფიცერთა საოლქო სახლის გუნდებს 31 თებერვლიდან ორმოცდათერთმეტ-ორმოცდათერთმეტი ქულა აქვთ. ეს გუნდები მორიგ შეხვედრებს გამართავენ 4 ნოემბერს.

ლექციები

31 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე საქართველოს კპ თბილისის კომიტეტთან არსებული ლ. კეცხოველის სახელობის პოლიტიკური განათლების სახლის სალექციო დარბაზში (ლენინის ქ. № 35) საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების თბილისის საქალაქო განყოფილება აწყობს საზოგადოების წევრის რ. ა. არუთინოვის (მოსკოვი) საჯარო ლექციას თემაზე: „ეგვიპტე დღეს“ (პირადი შთაბეჭდილებანი).

* * *

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის სექცია და დ. ი. მენდელეევის სახელობის საკავშირო ქიმიური საზოგადოების საქართველოს განყოფილება აწყობენ ლექციების ციკლს ფიზიკა-ქიმიური კვლევის თანამედროვე მეთოდებზე. პირველი ლექციები აღნიშნული ციკლდან შედგება ოთხშაბათს, 31 ოქტომბერს, საღამოს 7 საათზე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმიის კორპუსში შემდეგ თემებზე: 1. ელექტრონული მიკროსკოპის გამოყენება ფიზიკა-ქიმიურ კვლევებში (პროფ. მ. შიშნაშვილი); 2. ელექტრონოგრაფია და მისი გამოყენება ფიზიკა-ქიმიურ კვლევებში (ქიმიურ მეცნიერებათა კანდიდატი კ. ჯაფარიძე) და 3. თერმოგრაფია, როგორც ფიზიკა-ქიმიური კვლევის ერთ-ერთი მეთოდი (უფროსი მეცნიერი თანამშრომელი ო. მდივნიშვილი).

რედაქტორის მოადგილე
რ. ძურაბიკიძე.

საქართველოს რადიოს გადაცემათა პროგრამა 1 ნოემბრისათვის

პირველი პროგრამით

რადიოსადგურებით 1571 და 59,52 მეტრ ტალღებზე, აგრეთვე თბილისის საქალაქო ქსელით

06.30 — უვერტიურები, 07.35—„პიონერთა დაფიონი“, 12.15 — მატვეევის ოკარლური დუეტები, 12.45 — ქართული ხალხური სიმღერები, 17.20 — ნაწყვეტები რიმსკი-კორსაკოვის ოპერებიდან, 17.50 — გადაცემა: „მეგობრების შეხვედრა კიევში“, 18.15 — ა. ბალანჩივაძის მესამე კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის, 18.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის — ჟიგმონდ მორიცის მოთხრობა „უკანასკნელი ბეთიარი“, 19.20 — სიმღერები კ. შულერეკოს შესრულებით, 19.40 — რადიოსადგურებით გადაცემა სოფლის მეურნეობის მუშაკთათვის, თბილისის საქალაქო ქსელით რახმანინოვის კამერული ნაწარმოებები, 20.30 — გადაცემა „იტალიელი მომღერალი მარიო დელ მონაკო“.

რადიოსადგურით 1571 მეტრ ტალღაზე და თბილისის საქალაქო ქსელით

21.10 — ლიტერატურული გადაცემა — შ. რუსთაველის პოემა „ვეფხისტყაოსანი“ (გადაცემა მეორე), 21.30—ვ. დოლიძის ოპერა „ქეთო და კოტე“.

მეორე პროგრამით

რადიოსადგურით 59,52 მეტრ ტალღაზე

21.10 — ნარკვევი: „სოფელი ვანელი აღმავლობის გზაზე“, 21.30 — საბჭოთა კომპოზიტორების კამერული ნაწარმოებები, 22.10 — რუმინული მუსიკის კონცერტი, 22.40 — საცეკვაო მუსიკა.

რადიოსადგურით 66,08 მეტრ ტალღაზე

11.00 — გაზეთ „სოვეტაკან ვრასტანის“ მიმოხილვა, 18.15 — 19.00 — გადაცემა სომხურ ენაზე, 20.30 — 21.00 — გადაცემა აზერბაიჯანულ ენაზე.

დღეს

თბილისის თეატრებში

ოპერისა და ბალეტის — გედის ტბა, **რუსთაველის სახელობის** — ოიდიპოს მეფე, **მარჯანიშვილის სახელობის** — მოკვეთილი, **გრიბოედოვის სახელობის** — სამუდამო სიყვარული, **სომხური დრამის** — დანგრეული კერა, **მუსიკალური კომედიის** — სამი პატარძალი, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ერთი ღამის შეცდომები (აბონემენტი № 41, 6 ს.), **თოჯინების ქართული** — ჭკუა და გამოცდილება (11 და 4 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი (საზამთრო და საზაფხულო), **ოქტომბერი, სპარტაკი, ახანი** (საზამთრო), **პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელ